



## იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა  
ნაშრომი თემაზე:

„არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი  
დევენის ალტერნატიული ფორმა“

ავტორი: გიორგი უსუფაშვილი

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
ირინა აქუზარდია

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
2019 წელი

# სარჩევი

შესავალი.....	1
თავი I. არასრულწლოვანი სისხლის სამართლის პროცესში .....	2
1.1. არასრულწლოვნის ცნება.....	2
1.2. სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთან მიმართებით .....	3
თავი II. არასრულწლოვნის განრიდება .....	5
2.1. განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება....	5
2.2. განრიდების გამოყენების წესი და პირობები.....	8
2.3. განრიდების, განრიდება/მედიაციის პრინციპები;.....	11
2.4. არასრულწლოვნის გარანტიები განრიდებისას.....	15
2.5. განრიდების ღონისძიებები .....	15
2.6. სრულწლოვნის განრიდება; .....	19
2.7. განრიდების პროგრამების ზოგიერთი ტიპი .....	23
თავი III არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესი.....	25
3.1. მედიაცია.....	25
3.2. მედიატორი .....	27
3.3. მედიაციის ეტაპები.....	29
3.4. დაზარალებული განრიდებისა და მედიაციის პროცესში.....	33
3.5. სოციალური მუშაკი.....	34
3.5.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; .....	35
3.6. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება; .....	36
თავი IV. სტატისტიკური მონაცემები .....	39
თავი V. სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში .....	40
თავი VI. განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკული ასპექტები.....	43
დასკვნა.....	47
ბიბლიოგრაფია.....	48

## შესავალი

**თემის აქტუალობა** - საკვლევი საკითხის აქტუალობა, გამოწვეულია იმით რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დაინერგა ქართულ სისხლის სამართლის სისტემაში, საკითხი ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი და ამოწურული, რაც განაპირობებს საკითხის აქტუალობასა და მის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს. თანამედროვე ცივილიზებული სამყარო, ორიენტირებულია იმაზე რომ მოახდინოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, შესაბამისად ჩვენი სახელმწიფო ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე მიდგომებს, რაც გამოხატულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვით ქართული სამართლის სისტემაში. საკითხის სიახლე, ჯერ კიდევ ტოვებს გარკვეულ კითხვის ნიშნებს სისტემის ეფექტურობასთან მიმართები ქართულ რეალობაში. თუმცა უდავოა, რომ განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებით მნიშვნელოვანია დაინერგოს ახალი ლიბერალური მიდგომები, რისი კარგი მაგალითიცაა განრიდების პროგრამის არსებობა ჩვენს რეალობაში.

**კვლევის მიზანი და ამოცანები** - კვლევის მიზანია განრიდებისა და მედიაციის მიმართებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მოხდეს განრიდების და მედიაციის როგორც ცოცხალი პროცესის განხილვა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და შეფასება.

**კვლევის მეთოდები** - ნაშრომის მიზნებისთვის, გამოყენებულ იქნა კვლევის ნორმატიული, სისტემური, შედარებითი, სინთეზური და ლოგიკური მეთოდები.

**ნაშრომის სტრუქტურა** - ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისგან, 5 თავისგან, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია ქვეთავებად, და დასკვნისაგან. პირველი თავი ეხება არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემაში, რომელშიც თავის მხრივ ქვეთავებად ჩაშლილია არასრულწლოვნის ცნება და სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ. მეორე თავი ეხება არასრულწლოვნის განრიდებას რომელშიც თავის მხრივ ჩაშლილია შემდეგი საკითხები: განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება; განრიდების გამოყენების წესი და პირობები; განრიდების, განრიდება/მედიაციის პრინციპები; არასრულწლოვნის გარანტიები განრიდებისას; განრიდების ღონისძიებები; სრულწლოვნის განრიდება; განრიდების პროგრამების ზოგიერთი ტიპი. მესამე თავი მოიცავს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესის განხილვას, რომელშიც თავის მხრივ განხილულია: მედიაცია; მედიატორი; მედიაციის ეტაპები; დაზარალებული განრიდებისა და

მედიაციის პროცესში; სოციალური მუშაკი; ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება; ხელშეკრულების მოქმედების ვადა; ხელშეკრულების პირობების შესრულების/შეუსრულებლობის შედეგები; საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს რეკომენდაციებთან შესაბამისობის საკითხი. მეოთხე თავი ეხება სტატისტიკური მონაცემების განხილვას, ხოლო მეხუთე თავში განხილულია განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკული ასპექტები.

## თავი I. არასრულწლოვანი სისხლის სამართლის პროცესში

### 1.1. არასრულწლოვნის ცნება

არასრულწლოვანს როგორც ტერმინს, ზოგადად სამართალში და მათ შორის სისხლის სამართალშიც ფართო გამოყენება აქვს და ძირითადად ის მოიაზრებს პირს, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე ე.ი. 18 წლამდე, თუმცა საკვლევ საკითხთან მიმართებაში, ტერმინმა არასრულწლოვანმა უფრო ვიწრო გაგება შეიძლება შეიძინოს. საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.“<sup>1</sup> შესაბამისად, როგორც ადმინისტრაციულ სამართლებრივი, ასევე სისხლის სამართლებრივი კუთხით თუ მოვახდენთ ტერმინის არასრულწლოვანი ანალიზს მივალთ დასკვნამდე, რომ განრიდებისა და მედიაციის მიზნებისათვის აღნიშნულ ტერმინს აქვს სპეციფიური განმარტება და თავის თავში ადმინისტრაციულ სამართლებრივი კუთხით მოიაზრებს 16-დან 18 წლამდე პირს, ხოლო სისხლის სამართლებრივი კუთხით 14-დან 18 წლამდე პირს, ე.ი. პირს რომელსაც უკვე შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა ან/და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ჯერ არ შესრულები 18 წელი. ასევე ცალკე განხილვას საჭიროებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ტერმინის განმარტებაც, „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც: ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი,

<sup>1</sup> საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 1.

რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული; ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup> და 100<sup>2</sup> მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 2 ნაწილით, 153<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 155<sup>2</sup>, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 174 1 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 174<sup>15</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 175<sup>2</sup>, 177<sup>1</sup> და 178-ე მუხლებით და 181<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.“<sup>2</sup>

## **1.2. სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთან მიმართებით**

„განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია. პროგრამის მიზანია იმ არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დანაშაული. პროგრამა, ერთი მხრივ, განარიდებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას, განმეორებითი დანაშაულის (რეციდივის) თავიდან აცილებას, არასრულწლოვნის გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება“<sup>3</sup> შესაბამისად აღნიშნული ინსტიტუტი ქართული მართლმსაჯულებისათვის ახალი გახლავთ, რომელსაც აქვს პრეტენზია ახლებური კუთხით წარმოაჩინოს მართლმსაჯულების პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ და ამასთანავე დარჩეს შედეგზე ორიენტირებული და ადასრულოს მართლმსაჯულების მიზნები. „2010 წლის ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. თავდაპირველად, პროგრამა იყო საპილოტე და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია. 2013

<sup>2</sup> საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 2.

<sup>3</sup> <http://ganrideba.ge/?action=page&pid=46&lang=geo>.

წლის აგვისტომდე ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.<sup>4</sup> სწორედ აღნიშნული ცვლილებების შემდგომ ძირეულად შეიცვალა სისხლის სამართლის პოლიტიკა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ და ძირითადი გეზი სახელმწიფომ აიღო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მიმართ, აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით შესაბამისი წინაპირობების არსებობს შემთხვევაში სახელმწიფოს უპირველესი მიზანი არის ის, რომ ყველა არასრულწლოვანს მიეცეს კიდევ ერთი შანსი, გამოსწორებისა და საზოგადოებაში სრულად ადგილის დამკვიდრებისათვის. „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციარეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“<sup>5</sup>. როგორც ზემოთ აღინიშნა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების უმთავრესი საფუძველია მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, რას თავის თავში მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლი მე-4 პუნქტში მითითებულ ფაქტორებს, რაც უნდა გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის ან მისი სასჯელისგან განრიდების შემთხვევაში. სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებისას თუ რა სახის სასჯელი იქნება გამოყენებული არასრულწლოვნის მიმართ, ან საერთოდ იქნება თუ არა ის გამოყენებული, უნდა დაეყრდნოს კომპლექსური ანალიზის შედეგებს, სადაც ინდივიდუალურს საფუძველებზე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად იქნება გააზრებული, თუ რა ქმედებებით იქნება მიღწეული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის სრული და ერთმნიშვნელოვანი დაცვა, ისე რომ აღნიშნული ქმედებები ზოგადად წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მართლმსაჯულების მიზნებთან.

<sup>4</sup> <http://prevention.gov.ge/page/28/geo>;

<sup>5</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 4.

## თავი II. არასრულწლოვნის განრიდება

### 2.1. განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება

ზოგადად სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით სისხლის სამართლებრივი დევნის ერთადერთი განმახორციელებელი ორგანო არის პროკურატურა და ერთადერთი განმახორციელებელი პირი არის პროკურორი, ასევე უნდა ითქვას, რომ ქართული მართლმსაჯულება მიმდინარეობს პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პროკურორს აქვს უფლება დაიწყოს, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა, აღნიშნული გახლავთ პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება, შესაბამისად განრიდების მექანიზმიც უნდა მოვიაზროთ ამ უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც არასრულწლოვანი ასევე სრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ. „სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები მიზნად ისახავს კონფლიქტის არასისხლისსამართლებრივი გზით გადაწყვეტას. სწორედ ამ შინაარსის მატარებელია ტერმინი „diversion“ (გადახრა, აცილება), რაც აქტიურად გამოიყენება საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. აღნიშნული პრინციპი განიხილება, როგორც ერთგვარი შერიგება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის“<sup>6</sup> „განრიდება – ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც აქვს პროკურორს. ანუ პროკურორს არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა ესა თუ ის ღონისძიება, კონკრეტულ შემთხვევაში – განრიდება. ლოგიკურია, თუ პროკურორს არ ევალება დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება, ვერც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა იარსებებს. კანონის თანახმად, პროკურორი ვალდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს ალტერნატივა – განრიდების პროგრამის გამოყენების, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია“.<sup>7</sup> თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას აბსოლუტურად თავისუფალია და მას არ აქვს არანაირი ნორმა თუ სტანდარტი, რომელიც გარკვეულწილად მცირე დოზით მაგრამ მაინც ჩარჩოში მოაქცევს მის გადაწყვეტილებას, აღნიშნულს ემსახურება საქართველოს არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლი, რომლის მიხედვით „განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული

<sup>6</sup> ირინა აქუბარდია, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი 2016, გვ. 62

<sup>7</sup> ქუთათელაძე მ. - განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1'16; გვ 123.

ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევია არ არის; გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდებას გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.<sup>8</sup> მართალია აღნიშნული მუხლით პროკურორს ერთგვარად უჩნდება გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპები, რის საფუძველზეც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია და დისკრეციაში იმგვარად არის მოქცეული, რომ ჩნდება ერთგვარი შავი ხვრელი, საკითხები რომლების რეგულირებაც ამ მდგომარეობით შეუძლებელია და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ერთგვარად რჩება პროკურორის კეთილი ნების იმედად, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ვალდებულება გამოიყენოს განრიდებას მექანიზმი არასრულწლოვანის მიმართ, კანონმდებელი მას მხოლოდ აღნიშნული საკითხის განხილვას ავალდებულებს, რაც ერთის მხრივ შესაძლებელია იმით იქნეს განპირობებული, რომ ზოგადად დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედ პროკურორს არ შეიძლება დაუწესდეს მოქმედების მკაცრი ჩარჩოები, თუმცა რადგანაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ამოსავალი წერტილი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ვფიქრობ რომ აღნიშნული საკითხი მეტ ყურადღებასა და რეგულირებას იმსახურებს, იმგვარად რომ პროკურორს დარჩეს დისკრეციის გამოყენების საშუალება, თუმცაღა განრიდება, როგორც შანსი არასრულწლოვნისა გახდეს მეტად ეფექტური, მოქნილი და გათვლადი. ასევე უნდა ითქვას, რომ პროკურორი გადაწყვეტილება არ საჩივრდება სასამართლოში, იგი შესაძლებელია ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან. ვფიქრობ, რომ გასაჩივრების უფლების დამატებით აღნიშნული ინსტიტუტი უფრო გამართული გახდებოდა, სასამართლო იქნებოდა ის ქმედითი საშუალება, რითაც არასრულწლოვანი დაცული იქნებოდა უსამართლო და მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისაგან და ამასთან დისკრეცია, როგორც პროკურორის ექსკლუზიური უფლება შენარჩუნებული იქნებოდა. ამასთან უნდა ითქვას რომ უმჯობესია დისკრეციის გამოყენების საფუძვლები განსაზღვროს კანონმა, რომელიც ზუსტად დაადგენს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლებს და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდავს ან თითქმის გამორიცხავს სუბიექტივიზმს. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მსგავს დათქმას: „მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომ განიხილოს განრიდებას საკითხი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ

<sup>8</sup> საქართველოს არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 40.



შესაძლებელია განრიდების საკითხის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე პროკურორმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა, თავისი დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, შეუძლია დაუბრუნოს პროკურორს საქმე, რომ ხელახლა განიხილოს ეს საკითხი,“ თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ნორმით საკმარისი კონტროლი ხორციელდება პროკურორის დისკრეციასა და მის მიერ განრიდება/მედიაციის გამოყენებაზე.“<sup>9</sup> აქედან გამომდინარე ისევ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დამატებითი საკანონმდებლო რეგულირებითა და მკაცრი სასამართლო კონტროლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება განრიდების მექანიზმის საბოლოო გამართვა და მისი ეფექტურობის გაზრდა. ამას გარდა ასევე უნდა ითქვას რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რითაც შემოფარგლულია პროკურორის დისკრეცია, კერძოდ „სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს, თუ სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება და შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ. აღნიშნული ორი ფაქტორი უნდა არსებობდეს კუმულატიურად და მათი ცალ-ცალკე არსებობა არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის. დისკრეციული დევნის პრინციპის გათვალისწინებით, აღნიშნული ორი გარემოების არსებობა არ გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის ავტომატურად დაწყების ვალდებულებას ან აუცილებლობას. თუმცა, ამავე დროს, ამ გარემოებათა არარსებობა თავისთავად გამორიცხავს დევნის დაწყების შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის #181 ბრძანებაში ჩამოყალიბებული პრინციპებით. ამას გარდა, გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს პროკურორის შინაგან რწმენასა და კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მსვლელობისას შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება; დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა; უარი ითქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი; უარი ითქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციით. თუმცა, არსებობს დადგენილი გარემოებები, რომლითაც პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღებისას. უმთავრესია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. მასზე არ უნდა მოახდინოს გავლენა სუბიექტურმა ფაქტორებმა. პროკურორმა დისკრეციული

<sup>9</sup> ქუთათელაძე მ. - განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1'16; გვ 124.

უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი დევნის დაწყება კონკრეტულ შემთხვევაში. პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში<sup>10</sup> მიუხედავად იმისა რომ ზემოთ განხილული მინისტრის ბრძანება იძლევა რაღაც დონით პროკურორის დისკრეციის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის შესაძლებლობას, განრიდების კუთხით მაინც არის არასაკმარისი და სასამართლო კონტროლის მექანიზმის არსებობა აუცილებლად მიმაჩნია, განსაკუთრებით არასრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საქმეების მიმართ, რათა კიდევ ერთი მექანიზმით, პროცესის წარმოებისას სრულყოფილად იყოს გააზრებული და დაცული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

## **2.2. განრიდების გამოყენების წესი და პირობები**

„სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გამოყენება მიზნად ისახავს სამართალწარმოების დასრულებას სასამართლომდე, რის შედეგადაც იცხრილება სისხლის სამართლის საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, იზოგება ადამიანური და მატერიალური რესურსი და ნასამართლეობის გარეშე ბრალდებულის რესოციალიზაციის უფრო ეფექტური შესაძლებლობა ჩნდება. ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, განსხვავებული ფორმით და შინაარსით, აქტიურად ინერგება ყველგან, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში დამკვიდრებული განრიდების ინსტიტუტიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმის - “diversion” (გადახრა, აცილება) ერთგვარი ნაირსახეობაა.“<sup>11</sup> განრიდების გამოყენების წესი და პირობები რეგულირებულია არაერთი ნორმატიული აქტით, როგორებიც არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებები და სხვა, რომლებიც საბოლოო ჯამში გვამლევენ ერთიან სურათს თუ რა წესების და პირობების საფუძველზე ხდება არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვა. „განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სისხლის სამართლის პოლიტიკის

<sup>10</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #181 სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ. თბილისი, 2010 წლის 8 ოქტომბერი.

<sup>11</sup> ირინა აქუბარდია, არასრულწლოვნის განრიდება, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი 2016, გვ. 64

სახელმძღვანელო პრინციპებით.<sup>12</sup> „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით დეტალურად გამოკვეთა განრიდების გამოყენებისათვის გარკვეული გარემოებათა ერთობლიობის არსებობის აუცილებლობა და განსაზღვრა არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი განრიდების ღონისძიებები. „განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევია არ არის; გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.“<sup>13</sup> არასრულწლოვანის ერთდროულად შეიძლება დაენიშნოს განრიდების რამდენიმე ღონისძიება. განრიდების ღონისძიება განისაზღვრება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.“<sup>14</sup> პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს: ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე; ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. ზემოაღნიშნული გახლავთ განრიდების გამოყენების პირობების, ის მინიმალური მოთხოვნები, რაც განრიდების სუბიექტმა უნდა დააკმაყოფილოს იმისათვის, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნეს სისხლის სამართლებრივი დევნისაგან განრიდების მექანიზმი. ის ფაქტი, რომ პირს უნდ ჰქონდეს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩადენილი, ლოგიკურად მიმაჩნია, რადგანაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესს და განრიდების პროგრამის როგორც ერთი შანსის მიზნებს არ უნდა იქნეს შეწირული ზოგადად

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლის 168<sup>2</sup>

<sup>13</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 40.

<sup>14</sup> ირინა აქუბარდია, სრულწლოვნის განრიდება, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი 2016, გვ.67

სისხლის სამართლის პრინციპები და განრიდების მიზნები იმგვარად უნდა იქნეს მიღწეული, რომ ამით საზოგადოება კი არ დაზიანდეს, არამედ მის საკეთილდღეოდ იქნეს გადაწყვეტილებები მიღებული, იმ შემთხვევაში თუკი სიმძიმის კუთხით შეზღუდვა არ იქნებოდა დაწესებული, იარსებებდა მაღალი რისკი, რომ განრიდების პროგრამაში მოხვედრილიყვნენ პირები, რომლებიც საზოგადოებისათვის მაღალი საფრთხის მატარებლები იქნებოდნენ. განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>, 144-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე. ასევე სამართლიანად მიმაჩნია ზემო აღნიშნული დათქმა, რადგანაც კანონმდებელს დათქმაში მითითებული აქვს ისეთი მუხლები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, შესაძლებელია ქმედების შემადგენლობიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებდეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით, თუმცა არის შინაარსიდან გამომდინარე მძიმე და საფრთხის შემცველი დანაშაულები და მათი ცალკე გამოყოფა, სხვა მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულებისაგან ლოგიკურად მიმაჩნია, ასევე გასაგებია სახელმძღვანელო პრინციპებთან მიმართებით გაკეთებული შენიშვნა, რადგანაც ეს პრინციპები სწორედ იმას ემსახურება, რომ ეფექტურად უპასუხოს რეალურ, იმწუთიერ გამოწვევებს და მასში მოცემული პოლიტიკის გატარება განრიდების პროგრამის კუთხითაც მნიშვნელოვანი, რადგანაც არსებობდეს საერთო სისხლის სამართლის პოლიტიკა სახელმწიფოში. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლის სამართლებრივი დევნა<sup>15</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ რადგანაც განრიდების პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და ის არ ატარებს სასჯელის სახეს და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ეძლევა შანსი, აუცილებელია, რომ დევნის განახლების ან დაწყების სახით არსებობდეს რეალური ბერკეტი, რათა განრიდების სუბიექტმა პირნათლად შეასრულოს აღებული ვალდებულებები. „პირისპირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. აღნიშნული გახლავთ ერთგვარად პირველი საფეხური, რა დროსაც წერილობით ოფიციალურად ხდება განრიდების ობიექტისათვის იმ პირობების შეთავაზება, რომლებიც უნდა შეასრულოს იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი ჩაერთვება განრიდების პროგრამაში. წერილობით გაკეთებულ შეთავაზებაში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება. პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით, რაც გახლავთ უმნიშვნელოვანესი ასპექტი განრიდების მექანიზმისა, იგი დაფუძნებული უნდა იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ნებელობაზე, ე.ი. იგი უნდა აცნობიერებდეს რომ ყველაფერი რაც ხდება

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 168<sup>1</sup>

განრიდების პროგრამის ფარგლებში ნებაყოფლობითია, რაც მას არ ართმევს სხვა არსებით უფლებებს, რაც ქმნის პასუხისმგებლობის საფუძველს არასრულწლოვნის მხრიდან და უნდა გააჩინოს მასში შეგრძნება, რომ განრიდება არის შანსი და არა სასჯელი და სანქცია, იგი შეთანხმება გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებისა. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღნიშნული ასევე გახლავთ მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო პროცესისა, რადგანაც განრიდების პროგრამის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულის უფლებებიც, განრიდების შემდგომ იწყება მედიაციის პროცესი, რომელიც ერთგვარი შერიგებაა მხარეებს შორის და თუ პირველ ეტაპზე გაკეთებულ წინადადებაში არ იქნება გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესები, შემდგომში შეუძლებელი გახდება მედიაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვა. განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას. დამატებით უნდა ითქვას, რომ თუკი პროგრამას აქვს პრეტენზია, რომ ემსახურება არასრულწლოვნის ინტერესებს, მაშინ პრინციპების დონეზე მას უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად ლიბერალური მიდგომა და პირთა წრე, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოიყენოს პროკურორმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და პირი განარიდოს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უნდა იყოს მაქსიმალურად ფართო, ისე რომ აღნიშნულს არ შეეწიროს მართლმსაჯულების მიზნები და არ დამძიმდეს ქვეყანაში კრიმინალური ფონი.

### **2.3. განრიდების, განრიდება/მედიაციის პრინციპები;**

განრიდების, განრიდება მედიაციის პრინციპები განსაზღვრული გახლავთ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებით „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განრიდებისა და მედიაციის პროცესი ემყარება 6 ძირითად პრინციპს:

ა) ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა – არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს. თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის

სამართლის სისტემისაგან მის განრიდებას აღნიშნული გახლავთ პირველი და უმთავრესი პრინციპი განრიდების და მედიაციისა, სწორედ ეს პრინციპი აჩენს იმის საფუძველს, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამამ საერთოდ იარსებოს და ემსახუროს მის მიზნებს, ამ პრინციპის საფუძველზე, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული უპირველეს ყოვლის პროკურორმა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განიხილოს განრიდების გამოყენების შესაძლებლობა, რის საფუძველზეც იწყება შემდეგი პროცედურები. „აღნიშნულ სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა არ იცნობს განრიდების და მედიაციის პრინციპს, რომელსაც ეწოდება ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. აღნიშნული ქართული მართლმსაჯულების რეალობის გამოძახილი, რომლის მიზანია არსებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შერბილება და მისი უარყოფითი შედეგების პრევენცია (არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენის ზრდა)“<sup>16</sup>

ბ) ნებაყოფლობითობა – განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის იძულების მიზნით. მხარეები უფლებამოსილნი არიან, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, უარი განაცხადონ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. განრიდებისა და მედიაციის პროცესის მონაწილეთა ნებელობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია პროცესის სწორად და ჯანსაღად წარმართვისათვის, მხარეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ პროცესში მონაწილეობა ნებაყოფლობითი, ის არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს და მათი გამოვლენილი ნების საფუძველზე, შედეგი უნდა იქნეს მიღწეული შერიგება და არა ვინმეს დასჯა ან რაიმე სანქციის დაკისრება. თუკი მხარეები პოულობენ საერთო ენას მედიაციის პროცესის ფარგლებში მაშინ როგორც წესი განრიდების მიზნები ადვილად მიღწევადი ხდება. „კრიმინოლოგიურმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ დაზარალებულთა 92% მზად არის შეურიგდეს დამნაშავეს თუ მას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი.“<sup>17</sup>

გ) პროპორციულობა – განრიდების ღონისძიება უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე. აღნიშნული პრინციპი არის გამოძახილი თანამედროვე საზოგადოების საჭიროებისა ენახა კომპრომისი სადამსჯელო და სოციალური კეთილდღეობის სისტემებს შორის. ერთი მხრივ, დასჯა მოითხოვს იძულებით აღმკვეთ მიდგომებს სამართლიანობის აღსადგენად, მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის,

<sup>16</sup> მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013 წ. გვ. 31

<sup>17</sup> მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013 წ. გვ. 33

სამართლიანი სასამართლოს და ჩადენილ დანაშაულთან სასჯელის პროპორციულობის პრინციპის მისაღწევად. მეორე მხრივ კი, არასრულწლოვანი არ არის მომწიფებული იმისთვის, რომ მან სრულად გაითავისოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე/ ხასიათი/შედეგი, ის უფრო მეტად განათლების სუბიექტი უნდა იყოს, ვიდრე სისხლის სამართლის სოციალიზაციას (დასჯას) დაქვემდებარებული პირი, რამაც პირიქით შეიძლება გაზარდოს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა.<sup>18</sup> სწორედ ამიტომ პროპორციულობის პრინციპი უნდა გავიგოთ, როგორც საშუალება შერჩეული ღონისძიება მორგებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს ისე რომ მიღწეული იქნას მართლმსაჯულების მიზნები.

დ) კონფიდენციალურობა – განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული, დაუშვებელია მისი გამჟღავნება. „განრიდების და/ან მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, პირველ რიგში, ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას“<sup>19</sup> იმ პირობებში როდესაც საზოგადოება მკვეთრად უარყოფითად არის განწყობილი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ და როგორც წესი ჯერჯერობით საზოგადოებაში არ არის დამკვიდრებული განსხვავებული მიდგომები სრულწლოვან და არასრულწლოვან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ, მედიაციის პროცესის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რათა არ მოხდეს საზოგადოების მხრიდან მედიაციის მხარეების გარიყვა. თუკი საზოგადოება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აღიქვამს როგორც დამნაშავეს აღნიშნული ხელს შეუშლის განრიდების პროგრამის მიზნების სრულყოფილად მიღწევას, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვას და მის სრულ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

ე) სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რათა მოხდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა და მისი სრულფასოვანი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. „სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი რომელიც ახდენს აქტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას, სტიგმა შეიძლება იყოს ისეთი სოციალური მახასიათებელი, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია.“<sup>20</sup> აღნიშნულთან

<sup>18</sup> გ.არსოშვილი, გ.მიქანაძე, მ.შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015 წ. გვ 307

<sup>19</sup> მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013 წ. გვ. 40

<sup>20</sup> კოდუა, ე. ბურბენიძე, მ., კაჭკაჭიშვილი, ი. (ავტორთა კოლექტივი) (2004), სოციალურ და

დაკავშირებით უნდა ითქვას რომ არასრულწლოვნის სტიგმატიზირება კრიმინალური რეპუტაციის მხრივ იქნება მძიმე დარტყმა განრიდების მიზნებთან მიმართებით, რომელიც მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს განრიდების პროგრამის მიზნების შესრულებას და არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, მეტიც შესაძლებელია განრიდების პროგრამაში ჩართული პირის სტიგმატიზირებით მივიღოთ მკვეთრად უარყოფითი შედეგი, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი არ განერიდებოდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სტიგმამ შესაძლებელია საბოლოოდ ჩამოაყალიბოს მასში დამნაშავე.

ვ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება – პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რა დროსაც ფასდება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვის შესაძლო შედეგები, მათ შორის, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი გულისხმობს: „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.“<sup>21</sup> საუკეთესო ინტერესის ზუსტი დეფინიციის მოყვანა შეუძლებელია, რადგანაც მას იურიდიული ლიტერატურა არ იცნობს, თუმცა შესაძლებელია საუბარი, ზემოთ მოყვანილი მუხლის განმარტების ფარგლებში და ასევე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებებში. „ბავშვის უფლებათა კომიტეტი #10 ზოგად კომენტარში განმარტავს: მაგალითისათვის ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.“<sup>22</sup> აღნიშნული განმარტების მიხედვით, მივდივართ დასკვნამდე, რომ იუვენალურ მართლმსაჯულებაში უპირველესი და უპირატესი კლასიკური მართლმსაჯულების მიზნებისგან განსხვავებით არის არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რაც ფარავს სასჯელის ტრადიციულ მიზნებს და წარმოდგენილია არა როგორც მათი თანასწორი, არამედ როგორც უპირატესი მიზანი, თუმცა ამასთან აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესი მაგალითად როგორცაა სამართლიანობის აღდგენა უნდა გადავდოთ გვერდით და საერთოდ დავივიწყოთ, საჭიროა ერთგვარი ბალანსის დაცვა ამ ლეგიტიმურ მიზნებს შორის.

პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. თბილისი 2004 წ. გვ. 290-291

<sup>21</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 4.

<sup>22</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10 (2007) პუნქტი 10.



## **2.4. არასრულწლოვნის გარანტიები განრიდებისას**

განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიმართ არსებული გარანტიები განსაზღვრულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 41-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: 1) განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია განრიდების არსის, გამოყენების წესის, ხანგრძლივობის, შესაძლო პირობების და განრიდების ღონისძიებების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ. 2) არასრულწლოვანს ზეპირად და წერილობით განემარტება, რომ განრიდებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და მას უფლება აქვს, ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას განრიდებაზე. 3) განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება და მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. აღნიშნული გახლავთ ის 3 ძირითადი გარანტია, რომლითაც განრიდებისა და მედიაციის პროცესში არასრულწლოვანი სარგებლობს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლავთ განრიდების პროცესის ჯანსაღად წარმართვისათვის, რადგანაც არასრულწლოვანს და მისი ინტერესების დამცველს უნდა ჰქონდეთ გააზრებული თუ რა გარემოებების საფუძველზე და რა პირობებში ეთანხმებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებას. არასრულწლოვანს უნდა ესმოდეს, რომ იგი განერიდება მხოლოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რის საფუძველზეც იღებს სხვა ვალდებულებებს დაზარალებულისა და სახელმწიფოს მიმართ რასაც ადასტურებს დადებული ხელშეკრულებით, თუკი იგი დეტალურად არ იცნობს აღნიშნულ პირობებს დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ როცა უკვე ფაქტობრივად უნდა დაიწყოს აღებული ვალდებულებების შესრულება, წარმოიშვას გარკვეული პრობლემები არასრულწლოვნის მიმართ და ჩაიშალოს განრიდების პროცესი. პირველი ორი პუნქტი სწორედ სიცხადისა შეტანას ემსახურება პროცესში, რათა მხარეებს გააზრებული ჰქონდეთ მიმდინარე მოვლენები. რაც შეეხება მესამე გარანტიას, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ განრიდების პროცესში მოპოვებული აღიარების ან/და ინფორმაციის უვარგისობა განრიდების პროცესის ფარგლებს გარეთ დამატებითი მოტივატორი უნდა იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანისათვის, რადგანაც მას არ შეეშინდება ბრალდების მიერ განრიდების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არასრულწლოვნის საუარესოდ გამოყენების და ნაკლები სიფრთხილით მოეკიდება თავად განრიდების პროცესს, რის საფუძველზეც მოვლენები წარმართება გახსნილად და გაადვილდება მხარეებს შორის საერთო ენის გამონახვა და პროცესის წარმატებულად დასრულება.

## **2.5 განრიდების ღონისძიებები**

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების ფარგლებში გამოსაყენებელი ღონისძიებები განსაზღვრულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

კოდექსის 42-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება; ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა; გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება; დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა; ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება; ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.

არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება - „გაფრთხილება არის არასრულწლოვნისთვის იმის ახსნა და განმარტება, თუ რა შედეგი გამოიწვია მისმა ქმედებამ. საჭიროა, არასრულწლოვანს განმარტება მიეცეს მისი საქციელის როგორც საზოგადოებრივად მიუღებლობის, ასევე მისი ქმედებით გამოწვეული დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ, გარდა ამისა, დამნაშავე მოზარდს უნდა განემარტოს ის შესაძლო სასჯელი, რომელიც მას დაენიშნება განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. გაფრთხილება, თავისი ფორმით, არის რეპრესიული ხასიათის და უნდა ემსახუროდეს მოზარდის აღზრდას, მირი ღირსების გათვალისწინებით, ამიტომ ხშირად გაფრთხილება სწორედ ღირსების სასჯელად მიიჩნევა.“<sup>23</sup> აღნიშნულმა მოქმედებამ ერთგვარი გავლენა უნდა მოახდინოს არასრულწლოვანზე და მასში გააჩინოს რისკების აღქმა, თუ რას უნდა ელოდეს იმ შემთხვევაში თუკი გადაწყვეტს, რომ განმეორებით ჩაიდინოს დანაშაული, რაც ატარებს პრევენციულ ხასიათს და ემსახურება როგორც საზოგადოების ასევე არასრულწლოვნის ინტერესებს და არის ყველაზე რბილი განრიდების ღონისძიება, რომელიც კი შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ.

აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით „აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.“ შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შესაძლებელია პირობითად დაიყოს სამ ნაწილად, 1)განრიდების ან განრიდება და მედიაციის პროგრამაში ჩართვა, 2)საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება, 3) ან/და სხვა პროგრამაში მონაწილეობა, რომელიც შეუწყობს ხელს დანაშაულის შედეგების გამოსწორებას. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა ისეთი ღონისძიება გახლავთ, რომელსაც ეთმობა ნაშრომი და შესაბამისად აქ დამატებით განხილვას არ საჭიროებს, ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ ეს პირველი პუნქტი

<sup>23</sup> მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016 წ. გვ. 100-101.

უმნიშვნელოვანესია აღდგენითი მართლმსაჯულების კუთხით, რაზეც დგას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და მთელი სისტემა. რაც შეეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, აღნიშნული ასევე განსაზღვრულია არის როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვნის მიმართ, თუმცა არსებითი სხვაობა 44-ე მუხლით განსაზღვრულსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელს შორის, ცხადია ნასამართლეობის საკითხი გახლავთ, რაც უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, თუმცა პრობლემურია საკითხი რამდენად გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან ვთქვათ ისეთი შემთხვევა, როდესაც მას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელი ისე შეეფარდა და არა როგორც განრიდების ღონისძიება.

სხვა პროგრამაში მონაწილეობა - „რაც შეეხება სხვა პროგრამებს, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას. ეს პროგრამები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ 1) შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესს; 2) გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა შეძლოს მოზარდში დისციპლინის და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; და 3) ხელი შეუწყოს მის პროფესიულ განვითარებას.“<sup>24</sup>

მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება - აღნიშნული თავისთავში მოიცავს არასრულწლოვნისათვის ერთგვარად მატერიალური ზიანის მიყენებას, მის მიერ დაზიანებული ქონების აღდგენის, შეცვლის გზით, ასევე თუ ვინმეს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება მკურნალობის ხარჯების გაწევის გზით, ან მის მიერ გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურების გზით. „არასრულწლოვნისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებამ არ უნდა გააუარესოს მისი ქონებრივი მდგომარეობა, თუმცა მან გარკვეული ეკონომიკური ანაზღაურება უნდა გაიღოს, ეკონომიკური ზარალი უნდა ნახოს, რითაც მას ჩამოუყალიბდება პასუხისმგებლობის გრძნობა დაზარალებულისა და საზოგადოების მიმართ“<sup>25</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ საკითხი ბუნდოვანია და საეჭვოა რამდენად მიაღწევს იმ მიზანს რასაც ემსახურება ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, რადგანაც არასრულწლოვნები როგორც წესი დამოკიდებულები არიან ოჯახზე და შესაბამისად მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან მათი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების მიერ, შესაბამისად მის მიმართ დაწესებული ზიანის ანაზღაურება დააწვება თუ არა მას როგორც სიმძიმე და მატერიალური დანაკლისი საეჭვოდ მიმაჩნია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად ძირეული ანალიზის შემდეგ. „არასრულწლოვანმა ზიან უნდა აუნაზღაუროს პირდაპირ დაზარალებულს, დაუშვებელი მის მიერ მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან მას აღმზრდელობითი ხასიათი არ ექნება“<sup>26</sup> აღნიშნული მოსაზრება განპირობებული

<sup>24</sup> მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016 წ. გვ. 101-102 გვ.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, Juvenile Court Act., 2008. S. 161

იმით რომ ღონისძიების მიზანია არასრულწლოვანში გააჩინოს სინანულის და დანაშაულის განცდა და თუ კი იგი აანაზღაურებს რაიმე არაკონკრეტულ არამედ აბსტრაქტულ ხარჯებს, რაც მისთვის ხელშესახები და გასაგები არ იქნება, შესაძლებელია ღონისძიების მიზნები ვერ იქნეს მიღწეული. „მნიშვნელოვანი ის კი არ არის, არასრულწლოვანმა სრულად აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი, მნიშვნელოვანი მისთვის სურვილსა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენა, რათა მიყენებული ზარალი აანაზღაუროს, შესაბამისად ამ აღმზრდელობითი ღონისძიების მიზანია მოზარდში გააღვივოს საკუთარი დევიაციური საქციელისათვის პასუხისმგებლობის აღების, ჩადენილი ქმედების მონანიებისა და მსხვერპლის პატივისცემის გრძნობა“<sup>27</sup>

არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს: ა) განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება; ბ) ბინადრობის ადგილის შეცვლა; გ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა; დ) ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება; ე) სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს: ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება; ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება; გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გასვლა; დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება; ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. როგორც მუხლიდან ირკვევა მოვალეობები დაყოფილია ორ აკრძალვის და დავალების ღონისძიებებად და შერჩეული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს და მის სრულ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. „ამ მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს სხვაგვარად ქვეყნის შეზღუდვა ან დაევალოს ისეთი რამ, რაც პირველ რიგში, მის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, მას უნდა უყალიბებდეს საზოგადოებრივი ნორმების დაცვის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას, უნდა იყოს მისი პიროვნების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი, არ უნდა ლახავდეს მის ადამიანურ პატივსა და ღირსებას, ხელს უნდა უწყობდეს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.“<sup>28</sup>

არასრულწლოვნისთვის მინდობითი აღზრდის დაწესება - არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულია განრიდების ღონისძიებად არასრულწლოვნისთვის მინდობითი აღზრდის დაწესება. „არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება ნიშნავს განსაზღვრული დროით არასრულწლოვნის მინდობით აღმზრდელისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში

<sup>27</sup> იქვე. გვ 161.

<sup>28</sup> მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016 წ. გვ. 104

და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს. პროცესში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.<sup>29</sup> „ოჯახური გარემოდან მოზარდის გამოყვანა და სხვა ოჯახში განთავსება გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, თუ ოჯახურ გარემოში მოზარდის ყოფნა დიდ ზიანს აყენებს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ნებისმიერი განთავსება სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს კარგად შემოწმებული ბავშვის მინდობით აღსაზრდელად განთავსებამდე და განთავსების შემდგომ“<sup>30</sup> აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რადგანაც არასრულწლოვნის ოჯახს მოწყვეტამ შესაძლებელია მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის განვითარებასა და ფსიქიკაზე და აღნიშნული ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვნის ოჯახში ყოფნა ვერ მოდის თანხვედრაში მის საუკეთესო ინტერესთან და ზიანის მომტანია მისთვის. ასევე მნიშვნელოვანია დათქმა რომ შესაძლებელია მისი მშობლების ჩართვაც ღონისძიებაში, რაშიც იგულისხმება, რომ მიუხედავად იმისა რომ იგი აღსაზრდელად მიეზარება სხვა ოჯახს, მას თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა არ დგას, სრულად არ უნდა შეუწყდეს კავშირი ბიოლოგიურ მშობლებთან და ოჯახთან. თავის მხრივ კი ოჯახი სადაც მიზარებული იქნება არასრულწლოვანი არჩეული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შესწევდეთ უნარი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი აღზარდონ კანონმორჩილ მოქალაქედ და მოახდინონ მასში არსებული რისკების და მცდარი მისწრაფებების პრევენცია.

## **2.6. სრულწლოვნის განრიდება;**

მოცემულ ნაშრომში, უკვე განხილულ იქნა ზოგადად განრიდების გამოყენების წესი და პირობები თუ რა შემთხვევაში, ვინ და ვის მიმართ არის უფლებამოსილი გამოიყენოს განრიდება და განრიდების ღონისძიებები, თუმცა სრულწლოვანთან განრიდებისას არსებობს განსხვავებული მიდგომები საკანონმდებლო დონეზე, „არასრულწლოვნის განრიდების საკითხის მიმართ გაცილებით რთული პროცედურების დაწესებისათვის განსარიდებელი პირის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩათვალა კანონმდებელმა აუცილებლად. ცხადია, არასრულწლოვანი მოწყვლად პირთა კატეგორიას მიეკუთვნება, ის ჯერ კიდევ არ არის ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბებული, სრულწლოვნისგან განსხვავებით, ფაქტების და მოვლენების სრულყოფილად გააზრება და აღქმა უჭირს და ბუნებრივია, არასრულწლოვანთან მიმართებაში ნებისმიერი საკითხი განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, მაგრამ ალბათ, მიზანშეწონილია გარკვეულ რისკებს სიფრთხილით მოვეკიდოთ სრულწლოვნის განრიდების

<sup>29</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი 46.

<sup>30</sup> შაპოვიჩი, ნ.ვ./დოევი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 65.

შემთხვევაშიც.<sup>31</sup> უმთავრესი კი ის გახლავთ რომ სრულწლოვანთა განრიდების პროცესის პროცესი იმგვარად არის მოწყობილი, რომ დაზარალებულის განრიდების პროცესში მონაწილეობა მინიმალურია, რაც თითქმის მთლიანად გამორიცხავს მედიაციის პროცესის შესაძლებლობას. განრიდებაში არ მონაწილეობს სოც.მუშაკი, არ მზადდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა განრიდებისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ნაკლებად არის რისკები გათვლილი, მიუხედავად იმისა რომ საქმე გვაქვს სრულწლოვან ადამიანთან, გასათვალისწინებელია რომ პირი არის დამნაშავე მან ჩაიდინა დანაშაული და ასევე სრულწლოვანი ხშირად შესაძლებელია რომ უფრო დიდი საფრთხის მატარებელი იყოს ვიდრე ის არასრულწლოვანი, რომელიც სრულად ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების სიმძიმეს და შეიძლება ითქვას რომ ზოგჯერ გაუაზრებლადაც ჩადის დანაშაულს, თუმცა განრიდების მექანიზმის სისხლის სამართლის სისტემაში არსებობს როგორც არასრულწლოვანი ასევე სრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ უმნიშვნელოვანესი გახლავთ, როგორც პრაქტიკული მიზნებისთვის, როგორც არის პატიმრების რაოდენობის შემცირება, ადამიანებისათვის ერთი შანსის მიცემა და არა დასჯაზე არამედ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე მიმართული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოებისა, ასევე ქვეყნის იმიჯის ჩამოყალიბებისათვის, როგორც ლიბერალური ღირებულების მატარებელი დემოკრატიული სახელმწიფოსი. „განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, ასევე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომაც.“<sup>32</sup> პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს: ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე; ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>, 144-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით,

<sup>31</sup> ია ჩხეიძე, ადვოკატი მართლმსაჯულების ელემენტები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2015 წ. მე-5 გამოცემა, გვ. 114

<sup>32</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბილისის 2015 წ. 488 გვ.

აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნულია არის ის ზოგადი პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup> მუხლის მიხედვით. „ძირითადი განსხვავება არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების მარეგულირებელ ნორმებს შორის არის ის რომ მოქმედი კანონმდებლობით განრიდებისას არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. კერძოდ: 1. არასრულწლოვნის ნასამართლობა განრიდების გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებაა, მაშინ, როდესაც სრულწლოვანთა განრიდების ხელისშემშლელ ფაქტორად აღნიშნული არ არის მითითებული კოდექსში; 2. თუ არასრულწლოვნის მიმართ ადრე იყო გამოყენებული განრიდება, ხელმეორედ მისი გამოყენება დაუშვებელია, სრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებაში კი კანონი არ კრძალავს განმეორებით პირის მიმართ განრიდების გამოყენებას; 3. არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ იგი აღიარებს დანაშაულს. სრულწლოვანთა მიმართ კი ასეთ მოთხოვნას არ ითვალისწინებს კოდექსი. 4. არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოსაყენებლად აუცილებელია არსებობდეს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:ა) არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული; ბ)არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევ; გ)არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში; დ) არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს; ე) პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი. თუმცა სრულწლოვანთა განრიდების წინაპირობად საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთ გარემოებათა ერთობლიობას. 5. სრულწლოვანთა მიმართ განრიდება არ გამოიყენება ტრეფიკინგის, მძევლად ხელში ჩაგდების, წამების, წამების მუქარის და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>, 144-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მმ.) დანაშაულთა, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე, ხოლო არასრულწლოვანებთან მიმართებაში ასეთი შეზღუდვა არ არის მოცემული არც საპროცესო კოდექსით, არც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და არც სხვა კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც არასრულწლოვანთა განრიდებასა და მედიაციას აწესრიგებენ. 6. სრულწლოვანთა განრიდება არ შეიძლება, თუ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვანებთან მიმართებაში ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს კანონი. 7. სრულწლოვანთა განრიდება შესაძლებელია წინასასამართლო სხდომის შემდეგაც მხარის შუამდგომლობით. არასრულწლოვანთა განრიდება კი წინასასამართლო სხდომის შემდეგ

შესაძლებელია არა მხოლოდ მხარის შუამდგომლობით, არამედ სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. 8. არასრულწლოვნის განრიდების პროცესში დაუშვებელია მისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და ძირითადი სამუშაოსაგან, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მაშინ, როდესაც სრულწლოვანთა განრიდების მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავენ მსგავს მითითებას, თუმცა სრულწლოვანთა განრიდების შემთხვევაშიც დასახელებული პირობების დაცვა უნდა იყოს გარანტირებული. 9. არასრულწლოვანთა მიმართ დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების დაკისრება, ხოლო სრულწლოვანთა მიმართ სსსკ საერთოდ არაფერს ამბობს თანაზომიერების(პროპორციულობის) პრინციპის დაცვაზე და იმაზე, შეიძლება თუ არა მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების დაკისრება. როგორც ვხედავთ არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების საპროცესო წესი ხშირ შემთხვევაში არ მოდის თანხვედრაში. განრიდების გამოყენებისას არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებული არ უნდა იმყოფებოდნენ ასეთ არათანაბარ მდგომარეობაში. განრიდების გამოყენებისას სრულწლოვანისათვის უფრო მეტი პრივილეგიის დაწესება არასრულწლოვანთან შედარებით და არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ განრიდების უფრო მკაცრი წინაპირობების დაწესება არ არის გამართლებული. კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული განრიდების გამოყენების ერთიანი საპროცესო წესი მიუხედავად განრიდების სუბიექტის ასაკისა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით შესაძლებელია გამონაკლისი საერთო წესიდან და განრიდების გამოყენებისას არასრულწლოვანს შეიძლება უფრო მეტი შეღავათი დაუწესდეს, ვიდრე სრულწლოვანს, მაგრამ არა პირიქით. ამიტომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების გზით აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეწყდეს განრიდების საფუძველზე. მართალია, სსსკ 105-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილები გაუქმებულია, მაგრამ, რადგანაც აღნიშნული მუხლი ეხება სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის საფუძველებს, აუცილებელია დამატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი: „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია განრიდება. განრიდების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განრიდების სუბიექტის უფლებებს, განსაკუთრებით კი უფლებას დაცვაზე. ამიტომ მხარეთა თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ადვოკატის მონაწილეობა განრიდების პროცესში. კანონის(სსსკ 1682 მუხლის მეორე ნაწილის) თანახმად, განრიდების სუბიექტი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით. მას უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატი და პროკურორთან განრიდების შესახებ მოლაპარაკება აწარმოოს ადვოკატთან ერთად. თუმცა განრიდების გამოყენება შესაძლებელია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. აუცილებელია კანონი ითვალისწინებდეს ადვოკატის



სავალდებულო მონაწილეობას განრიდების პროცესში, ისე როგორც ეს ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას. ასეთ შემთხვევაში ბრალდებული უკეთ შეძლებს სამართლებრივ საკითხებში გარკვევას და მის მიერ განრიდების პირობების შესრულების ან მასზე უარის თქმის შემთხვევაში საქმისწარმოების შესაძლო პერსპექტივის გაცნობიერებას. ამასთანავე, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს განრიდების გამოყენება შესაძლებელი გახდეს დაცვის მხარის ინიციატივითაც არა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის შემდეგ, როცა მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა საქმე დაუბრუნდეს პროკურორს განრიდების გამოსაყენებლად, არამედ გამოძიების ეტაპზეც.<sup>33</sup> დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება, არ მიმაჩნია სწორ ნაბიჯად, მეტიც ისეთი წინაპირობებით, როგორც არის არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მის მიმართ განრიდების ხელმეორედ გამოყენების აკრძალვა, მისი ნასამართლეობა როგორც განრიდების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი, მიმაჩნია ისეთ გადაწყვეტილებებად, რომელიც ხელოვნურად აფერხებს განრიდების პროგრამის განვითარებას და სრულყოფილ ფუნქციონირებას. მეტიც, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არამხოლოდ უნდა გათანაბრდეს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების მდგომარეობა, არამედ მაქსიმალურად ბევრი ბერკეტი უნდა იქნეს გამოყენებული არასრულწლოვნის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის, რაც მიმართული იქნება მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მიღწევისათვის და იმისთვის, რომ იგი გახდეს საზოგადოების სრულყოფილი წევრი და მიღებული შანსით მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია.

## **2.7. განრიდების პროგრამების ზოგიერთი ტიპი**

„განრიდების პროგრამებს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ზოგიერთი ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს, ზოგიერთი ოჯახზე ორიენტირებულია, გვხვდება კეთილდღეობაზე დამყარებული მიდგომაც, ხოლო ნაწილი აქტივობების პროგრამებს იყენებს დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირებისათვის.“<sup>34</sup> შესაბამისად იმის და მიხედვით თუ როგორია კონკრეტული ქვეყნის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პოლიტიკა, ხდება არჩევანის გაკეთება თუ როგორი განრიდების პროგრამის ტიპი უნდა იქნეს დანერგილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აღდგენითი მართლმსაჯულება - აღნიშნული ტიპის ელემენტები მეტწილად ჭარბობს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში, რასაც მეტწილად ეთმობა

<sup>33</sup> აქუბარდია ი. ძირითადი განსხვავება არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების მარეგულირებელ ნორმებს შორის გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბილისი 2016 წელი, გვ. 61

<sup>34</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის სახელმძღვანელო მითითებები, ქერონ ჰამილტონი, ნიუ-იორკი 2011 წ. გვ.73

მოცემული ნაშრომი. აღდგენითი მართლმსაჯულება თავის თავში მოიცავს, განრიდების და მედიაციის იმ პროცესებს რომლებიც ზემოთ არის განხილული. აღნიშნულს საუკუნეების ისტორია აქვს და არაერთი ათეული წელია გამოიყენება მსოფლიოს არაერთ ცივილიზებულ ქვეყანაში. „ოფიციალური სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მისი გათვალისწინება პირველად კანადაში მოხდა, 1974 წელს, “მსხვერპლისა და დამნაშავეს შერიგების” პროგრამის შემოღებით“<sup>35</sup> რის შემდგომაც აღნიშნული სისტემის დანერგა დაიწყო არაერთ ქვეყანაში, მისი ეფექტურობის და პრაქტიკულობის გამო, მიუხედავად იმისა რომ სისტემა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, როგორც არის მაგალითად დანაშაულის რეციდივი. აღდგენითი და არა დასჯის მართლმსაჯულება შესაბამისი წინაპირობების არსებობს შემთხვევაში უფრო ეფექტიანი და შედეგის მომტანია. „აღდგენითი მართლმსაჯულება არის პროცესი, რომელშიც დაზარალებული და დამნაშავე, საჭიროების შემთხვევაში კი ნებისმიერი სხვა პირი ან საზოგადოების წევრი, რომელზეც ზეგავლენა იქონია დანაშაულმა, ერთად აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი საკითხების მოგვარებაში, ჩვეულებრივ, ფასილიტატორის დახმარებით.“<sup>36</sup> რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ პროცესი წარიმართოს იმგვარად რომ გათვალისწინებული იყოს ყველა მხარის ინტერესები და პროცესი ასე ვთქვათ ყველასათვის მისაღები შედეგით დასრულდეს.

სოციალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებული განრიდება - „ბავშვების მიერ დანაშაულებრივი საქციელის ჩადენა ზოგჯერ განიხილება როგორც ოჯახის დისფუნქციის სიმპტომი, რომელიც გამოწვეულია ცუდი აღზრდით, რთული ოჯახური პირობებით ან ოჯახური ურთიერთობების მოშლით. ოჯახზე ორიენტირებული განრიდების პროგრამები, ძირითადად, გულისხმობს მუშაობას ბავშვთან და მის ოჯახთან, იმის გასაგებად, თუ რატომ ჩაიდინა ბავშვმა დანაშაულებრივი ქმედება და როგორ უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებების მართვა შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად.“<sup>37</sup> შესაბამისად აღნიშნული სისტემა მეტად ორიენტირებული გუნდურად ოჯახთან მუშაობაზე, პრობლემის მთავარ ამომავალ წერტილს ხედავს ოჯახში და არასრულწლოვნის აღზრდაში, შესაბამისად ორიენტირებულია ოჯახის შიგნით პრობლემების მოძიებასა და მის გუნდურად გადაჭრაზე.

აქტივობების პროგრამები - „სხვა პროგრამები გულისხმობს ბავშვების ჩართვას სხვადასხვა საქმიანობაში, რათა მათ გაუჩნდეთ ქუჩაში ყოფნის ალტერნატივა და მიეცეთ საშუალება, დაეუფლონ ახალ უნარებს და დაკავდნენ ახალი ინტერესებით. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მრავალმხრივი იყოს და გამომდინარეობდეს უშუალოდ ბავშვის საჭიროებებიდან და კონკრეტული

<sup>35</sup> აღდგენითი მართლმსაჯულება: იდეები, ღირებულებები, დებატები", ჯონსტონი გ. 2002წ., გვ. 2.

<sup>36</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, პუნქტები 1.2 და 1.3.

<sup>37</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის სახელმძღვანელო მითითებები, ქერონ ჰამილტონი, ნიუ-იორკი 2011 წ. გვ. 74

კულტურიდან. მაგალითად, პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს ბავშვისათვის ზოგადი “ცხოვრების უნარების” სწავლებას ან ისეთი უფრო კონკრეტული უნარებისა, როგორცაა ძირითადი საავტომობილო მექანიკა, მშენებლობის უნარები ან აუცილებელი უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვს მცირე ბიზნესის წამოსაწყებად.<sup>38</sup> მიუხედავად იმისა რომ ჩვენს პრაქტიკაში დანერგილი სისტემა მეტწილად დამყარებულია ადდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებზე, მასში ასევე შევხვდებით როგორც აქტივობების პროგრამებს ასევე სოციალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებულ პროგრამის ელემენტებს, რომლებიც მოცემული განრიგების ღონისძიებებში, გარკვეული საქმიანობს აკრძალვით ან მისი დავალებით, არასრულწლოვნის მიდნობით აღზრდაზე მიბარებით. ეს უკანასკნელი მართალია შეიძლება ვერ იქნება მიჩნეული სოციალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებული პროგრამის კლასიკურ ვარიანტად, თუმცა თუ ოჯახის წევრების ჩართულობით მიმდინარეობს პროცესი შესაძლებელია ამგვარი ტიპის ღონისძიების სტატუსიც მიენიჭოს.

## თავი III არასრულწლოვანთა განრიგებისა და მედიაციის პროცესი.

### 3.1. მედიაცია

„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა არასრულწლოვან დამნაშავეთა პატიმრობისაგან არიდების, მათთვის ალტერნატიული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და რესოციალიზაციის მისაღწევად. ერთერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ის, რომ არასრულწლოვანი უნდა გამოსწორდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე.“<sup>39</sup> სწორედ აღნიშნულს ემსახურება ქართულ სისხლის სამართლის სისტემაში არსებული განრიგებისა და მედიაციის პროცესი. აღნიშნული ინსტიტუტის მთავარი მიზანი გახლავთ არასრულწლოვნისათვის პატიმრობის თავიდან არიდება, მათთვის ალტერნატიული პასუხისმგებლობის დაკისრება და რესოციალიზაციის მიღწევა, არასრულწლოვნისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. პროცესუალური თვალსაზრისით განრიგებისა და მედიაცია წარმოადგენს რთულ და კომპლექსურ პროცესს, რომელშიც ჩართულები არიან, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, ასევე დაზარალებული და მედიატორი. „მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის შემოღება, რომელიც პროკურორს აძლევს უფლებას საკუთარი

<sup>38</sup> იქვე. 75 გვ.

<sup>39</sup> ცერცვაძე გ. მედიაციის სამართლის რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი 2013 წელი. გვ. 108

შეხედულებისამებრ დაიწყო, არ დაიწყო ან/და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი მხოლოდ შეზღუდულია საჯარო ინტერესით. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მტკიცებულებით და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტი დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყო პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნა.<sup>40</sup> სწორედ აღნიშნული ნოვაცია ქმნის იმის საფუძველს, რომ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში გაჩნდეს განრიდების მედიაციის ინსტიტუტი, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტილს ეფექტური საშუალება. აღნიშნული განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია არასრულწლოვანთა მიმართებით, რადგანაც შეიქმნა საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ არასრულწლოვანმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, გააცნობიეროს საკუთარი ქმედების სიმძიმე, უმართებულობა და მიიღოს რელევანტური სასჯელი. მოცემული ნაშრომის, ეძღვნება განრიდებისა და მედიაციის პროცესის განხილვას საპროცესო ჭრილში, არასრულწლოვანთა მიმართებაში, შესაბამისად მსჯელობის დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ საკითხს დაეთმობა. „განრიდება - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.“<sup>41</sup> სწორედ აღნიშნულს, პროკურორი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას უნდა განარიდოს თუ არა არასრულწლოვანი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილება ხდება მედიაციის პროცესის დაწყების საფუძველი, ე.ი. განრიდებისა და მედიაციის პროცესის პირველი ეტაპია, განრიდების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. რის შემდგომაც იწყება მედიაციის პროცესი. „მედიაციის ცნება პირველად გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართლის კუთხით და გულისხმობდა განქორწინების დროს მესამე პირის მეშვეობით კონფლიქტის მოგვარებას. კრიმინალურ მეცნიერებაში მედიაცია

<sup>40</sup> აქუბარდია ი. განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბილისი 2016 წელი, გვ. 61

<sup>41</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 7.

სწორედ კერძო სამართლიდან შემოიჭრა და გულისხმობს კონფლიქტის მენეჯმენტს, გერმანელი კრიმინოლოგები მედიაციას მიიჩნევენ ისეთი სხვადასხვა სახის ღონისძიებათა და რეაბილიტაციის ფორმად, რომლის მიზანი დანაშაულიდან წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებაა.“<sup>42</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია. მედიაციის პროცესი, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, რადგანაც იგი ემსახურება დაზარალებულისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის შერიგება და საბოლოოდ შექმნილი სიტუაციის იმგვარი გადაწყვეტა, რომ დაცული იყოს როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი ასევე დაზარალებულის კანონიერი უფლება და ინტერესი. თავისთავად მიზნიდან გამომდინარე, პროცესი არის რთული და კომპლექსური, რომელის საჭიროებს სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა გამოამჟღავნონ, რათა უმტკივნეულოდ, ოპტიმალური გზით მოხდეს საკითხის გადაწყვეტა.

### 3.2. მედიატორი

„თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის, სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენების რაც შეიძლება შეზღუდვის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოკმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, არაადამიანურ სასჯელებზე. ლიბერალიზაციის ტენდენცია იკვეთება სისხლის საპროცესო სამართალში. შემოდის სრულიად ახალი საკანონმდებლო მიდგომები, რათა რაც შეიძლება ლიბერალური გახდეს სისხლის სამართლის იუსტიცია. რისი ნათელი მაგალითიც არის აღდგენითი სამართალწარმოება (Restorative justice - სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, რომელშიდაც ჩართულია მედიატორი).“<sup>43</sup>

<sup>42</sup> მ.შალიკაშვილი, მ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგია, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო საფუძვლები. 2011 წ. გვ. 124

<sup>43</sup> გია მეფარიშვილი, ია ჩხეიძე „დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში“ სამეცნიერო შრომის კრებული, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL1.2&d=HASHfdfa9fd570df09c4458b7b5.2.5>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით მედიატორი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს. კანონმდებელი მოცემულ განმარტებაში შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს სათანადო კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე. როგორც უკვე აღინიშნა აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთული და კომპლექსურია. შესაბამისად შედეგის თვალსაზრისით მედიატორი გადამწყვეტ როლს თამაშობს პროცესის წარმართვაში. რა შეიძლება მოვიაზროთ სათანადო კვალიფიკაციაში? გარდა იმისა, რომ მედიატორებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მომზადება გავლილი, რაც შექმნის საფუძველს სამართლებრივ და ფსიქოლოგიური საკითხების ცოდნისა, ასევე მედიატორის პიროვნული თვისებებიც უნდა შეესაბამებოდეს მის უფლება-მოვალეობებს. „მედიატორის ფუნქცია მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი არასრულწლოვანთა განდირებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის #129/ს ბრძანებაში. მედიაციის სხვადასხვა სახის გამო შეუძლებელია მედიატორის ერთიანი ცნების ჩამოყალიბება. ზოგადად შეიძლება ითქვას რომ მედიატორი უნდა იყოს მედიაციის მონაწილე მხარეებისათვის (დამნაშავისა და დაზარალებულისთვის) მისაღები პიროვნება, რომელსაც სპეციალური ცოდნა და თვისებები აქვს, რათა მოახდინოს მხარეთა მოთხოვნილებების გათვალისწინება, შეჯერება-ანალიზი და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს: ა) ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარის) მიკერძოებული; ბ) ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი; გ) (დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების) პროცესზე პასუხისმგებელი; დ) შემოქმედებითი და არა პრეტენზიული; ე) მონაწილეთა პიროვნების პატივისმცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული; ვ) კომუნიკაბელური და არა ჩაკეტილი; ზ) მომთმენი და არა სულსწრაფი.“<sup>44</sup> ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მედიატორის პიროვნული თვისებები, რადგანაც რთულია მედიაციის პროცესში, როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან, მკვეთრად დაპირისპირებულ მხარეებთან, მედიატორმა მოახერხოს და იდეალურად დაიცვას ბალანსი, ისე რომ დარჩეს ნეიტრალურ მსმენელად და პროცესი სრულყოფილად წარმართველად. „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მედიატორის ცნება, იგი ვერ მოიცავს მედიატორის იმ საქმიანობის, სტრატეგიებისა და ტექნიკის სრულ აღწერას, რასაც მედიატორი მედიაციის პროცესში იყენებს. თუმცა, არსებობს არაამომწურავი ჩამონათვალი იმ თვისებებისა და უნარების, რასაც უნდა ფლობდეს მედიატორი.

<sup>44</sup> მ.შალიკაშვილი გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა) თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ. გვ. 125

გამოყოფენ შემდეგ უნარებს: ლოგიკური აზროვნების უნარი, ანალიზის უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, წაკითხულის გააზრების უნარი, წერის უნარი, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის უნარი, არასიტყვიერი, სხეულის ენით კომუნიკაციის უნარი, კითხვის დასმისა და აქტიური მოსმენის უნარი, ემოციური სტაბილურობა/გაწონასწორებულობა, მგრძობიარობა, პასუხისმგებლობის გრძობა, მხარის ფასეულობების პატივისცემის უნარი, საკითხისადმი სხვადასხვანაირი მიდგომის უნარი, ორგანიზებულობა, გეგმის შესაბამისად მოქმედების უნარი, სურვილი, რომ მოაგვაროს სხვათა კონფლიქტი. ეს არის არაამომწურავი ჩამონათვალი მედიატორისთვის აუცილებელი იმ პიროვნული თვისებებისა და უნარების, რომელიც მას თავისი ფუნქციის შესრულებისას დასჭირდება. მედიატორის ფუნქცია კი შეიძლება განსხვავდებოდეს მედიაციის მიზნის, მხარეთა მოლოდინების, მედიაციის ადგილისა და მედიატორის მუშაობის სტილის მიხედვით. ამერიკელ მედიატორთა ერთ-ერთი ჯგუფის ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოიყო მედიატორის შვიდი მთავარი ფუნქცია: პროცესის წინარე ინფორმაციის მოძიება, კომუნიკაციის ხელშეწყობა, მხარეებისათვის ინფორმაციის გაზიარება, ინფორმაციის გაანალიზება, შეთანხმების ხელშეწყობა, პროცესის მართვა, ინფორმაციის დოკუმენტირება.<sup>45</sup> დასკვნის სახით მედიატორთა დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როგორც განრიდების და მედიაციის პროცესი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქვაკუთხედი და ამოსავალი წერტილი, რის გარშემოც მოწყობილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ასევე მედიატორი თავისი ფუნქცია-მოვალეობებით, წარმოადგენს წამყვან ძალას მედიაციის პროცესისა, მეტწილად მასზეა დამოკიდებული პროცესის ეფექტურობა და მედიაციის ინსტიტუტის მიზნების მიღწევა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომებითა და სწორი პოლიტიკის გატარებით.

### **3.3. მედიაციის ეტაპები**

მედიაცია ეს არის, „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.“<sup>46</sup> მოცემული მუხლის მიხედვით მედიაციის მთავარი მიზანი გახლავთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგების პროცესი, რომელსაც უძღვება შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირი ე.ი. მედიატორი. ასევე მნიშვნელოვანი მედიაციის

<sup>45</sup> მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013 წ. გვ. 124

<sup>46</sup> საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 9.

პროცესში სხვა ისეთი პირების ჩართვაც, როგორც არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. ვინ შეიძლება იყოს „სხვა პირი“? სხვა პირი შესაძლებელია იყოს ყველა ის პირი რომელიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაეხმარება მედიატორს ჯანსაღად წარმართოს მედიაციის პროცესი და მიაღწიოს მხარეებს შორის შერიგებას. ზოგადად „მედიაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება - წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია“<sup>47</sup> წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა შესაბამისი მოქმედებების განხორციელების საფუძველზე შექმნას ისეთი საბაზისო ვითარება, რომელიც შესაძლებელს გახდის მედიაციის პროცესის სრულყოფილად წარმოებას. მანდ უნდა განხორციელოს შეხვედრები მხარეებთან, შეიტყოს მათი პოზიციები და მისწრაფებები, აწარმოოს ერთგვარი წინარემოლაპარაკებები. „მედიატორი მხარეებს აწვდის ზოგად ინფორმაციას მედიაციის არსის და დანიშნულების შესახებ, განუმარტავს მედიაციის წესს და პროცედურას, მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა, ასევე აცნობს და აწვდის შესაბამის აღწერილობას, მედიატორი ასევე განუმარტავს მხარეებს პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობებს და რისკებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულთან კომუნიკაციისას, რადგან დაზარალებულის ჩართულობა მედიაციაში უზრუნველყოფს მის აქტიურ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების, მამ შორის ზიანის ანაზღაურების განსაზღვრაში.“<sup>48</sup> არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება იდება იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული თანახმაა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება წინასწარი გადაწყვეტილება განრიდების შესახებ, პროკურორი და სოციალური მუშაკი ჩამოაყალიბებენ მედიაციის ხელშეკრულებით განსაზღვრავს სავარაუდო პირობებს, რომელშიც აისახება მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები. ეს პირობები შეიძლება შეიცვალოს მედიაციის პროცესში მედიატორის მხარეებთან კონსულტაციების შედეგად. ცვლილებები წინასწარ პირობებში უნდა შეთანხმდეს პროკურორთან და სოციალურ მუშაკთან. მედიატორის შერჩევის სპეციალური პროცედურის გათვალისწინებით, მხარეებს შესაძლებლობა მიეცემათ თავად აირჩიონ მათთვის ყველაზე მისაღები მედიატორი. მედიატორის შერჩევისას სოციალური მუშაკი მხარეებს განუმარტავს, რომ მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული და/ან პროფესიული კავშირი. მედიატორი, ისევე როგორც მედიაციის მხარეები, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ვალდებული არიან პირდაპირ განაცხადონ ამგვარი კავშირის შესახებ. აღნიშნული კავშირის არსებობის შემთხვევაში ხდება მედიატორის აცილება და იმავე წესით შერჩეული ახალი მედიატორით შეცვლა. საქმის გარემოებების

<sup>47</sup> არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. მ. შალიკაშვილი, თბილისი 2013 წ. გვ. 71

<sup>48</sup> არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. მ. შალიკაშვილი, თბილისი 2013 წ. გვ. 72



გაცნობა და საქმის დაწერა მედიატორისთვის პროკურორი და სოციალური მუშაკი ხვდებიან შერჩეულ მედიატორს, გააცნობენ მედიატორს საქმის გარემოებებს და დეტალურად განუმარტავენ (და გადასცემენ) ხელშეკრულების პირობებს. პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ხელს აწერეს ფორმას სამ ეგზემპლარად, რაც ნიშნავს იმას, რომ საქმე ოფიციალურად დაეწერა მედიატორს საწარმოებლად. მედიატორი წინასწარ ემზადება მედიაციის პროცესის დასაწყებად. მომზადება გულისხმობს საქმის გარემოებების გააცნობას, მედიაციის თითოეული ეტაპის დაგეგმვასა და შესაბამისი ღია კითხვების მომზადებას. მომზადების დასრულების შემდგომ იწყება წინასაკონფერენციო ეტაპი. წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი ინდივიდუალურად უკავშირდება ჯერ არასრულწლოვანს, შემდგომ კი დაზარალებულს, გააცნობს მხარეს საკუთარ თავს და შეთანხმებით დანიშნავს წინასაკონფერენციო შეხვედრის დროსა და ადგილს. შეხვედრისას, მედიატორი მხარეს აწვდის ზოგად ინფორმაციას მედიაციის არსის და დანიშნულების შესახებ, განუმარტავს მედიაციის (მათ შორის, კონფერენციის) წესს და პროცედურას, გააცნობს და გადასცემს შესაბამის აღწერილობას. პირველადი კომუნიკაციისას მედიატორის მიზანია განუმარტოს მხარეს პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობები და რისკები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულთან კომუნიკაციისას. დაზარალებულის ჩართულობა მედიაციაში უზრუნველყოფს მის აქტიურ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების განსაზღვრაში, ხოლო კონფერენციის მსვლელობისას დაზარალებულს ექნება შესაძლებლობა გაესაუბროს არასრულწლოვანს, დაუსვას შეკითხვები და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ. დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ მისი უარი მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა მხარეებს განუმარტოს მედიაციაში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი. მედიატორი მხარეებს გააცნობს ხელშეკრულების სავარაუდო პირობებს, დეტალურად განუმარტავს მათ ამ პირობების შინაარსს, პირობების დარღვევის შედეგებს და ა. შ.. მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დასვან შეკითხვები და მიიღონ კონკრეტული განმარტებები ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით. მათ ასევე უფლება აქვთ არ დაეთანხმონ პირობას და/ან წამოაყენონ ალტერნატიული პირობა. ამ პროცედურის დაცვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ორივე მხარის მხრიდან მიღებულ იქნეს გაცნობიერებული თანხმობა ხელშეკრულების პირობებზე. ამასთან, მედიატორმა უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანის ასაკი და მენტალური მდგომარეობა და არასრულწლოვანისთვის მარტივად აღსაქმელ ენაზე განუმარტოს მას ხელშეკრულების პირობები. ამის შემდეგ მედიატორი მხარეს გააცნობს მედიაციის პროცესში მომდევნო ნაბიჯებს, რაც გულისხმობს მედიატორის მეორე მხარესთან შეხვედრას, ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებას და კონფერენციის სავარაუდო დროისა და ადგილის შერჩევას. თუ წინასაკონფერენციო ეტაპზე მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების წარმოდგენილ პირობებზე, მაშინ მედიატორი ცდილობს თითოეულ მხარესთან

განმეორებითი კომუნიკაციის გზით მოახდინოს შეთანხმების მიღწევა, კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს პირადად, ტელეფონის, ელ-ფოსტის და/ან მხარეთათვის მისაღები სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. თუ რომელიმე ან ორივე მხარე არ ეთანხმება პროკურორის და/ან სოციალური მუშაკის მიერ ხელშეკრულების შემოთავაზებულ პირობებს, მაშინ მედიატორი შეატყობინებს პროკურორს და სოციალურ მუშაკს მხარის კომენტარის და/ან ალტერნატიული პირობის შესახებ. პროკურორს და სოციალურ მუშაკს უფლება აქვთ შეცვალონ/განაახლონ ხელშეკრულების სავარაუდო პირობები, არსებული შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით. თუ წინასაკონფერენციო პროცესში რომელიმე მხარემ უარი განაცხადა მედიაციაში (მათ შორის, კონფერენციაში) მონაწილეობაზე, მაშინ მედიატორი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პროკურორს. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ მედიატორი შეუთანხმებს პროკურორს და სოციალურ მუშაკს კონფერენციის სავარაუდო თარიღს და ადგილს. შემდეგ მედიატორი კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს ატყობინებს კონფერენციის დროსა და ადგილს. თუ მხარეებს სურთ დამატებითი მონაწილეების (მაგრამ არა უმეტეს ერთი პირისა თითო მხარეზე) მოწვევა კონფერენციაზე, მაშინ ამ ადამიანის მონაცემებს (სახელს და გვარს, კავშირს საქმესთან ან მხარესთან და საკონტაქტო ინფორმაციას) ჩაიწერს მედიატორი და შეუთანხმებს მეორე მხარეს, პროკურორს და სოციალურ მუშაკს. თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაშინ დამატებითი პირი არ დაესწრება კონფერენციას. კონფერენციისათვის ყველა საჭირო პროცედურის მოგვარების შემდგომ მედიატორი მოამზადებს წინასაკონფერენციო ანგარიშს, რომელშიც ასახავს მედიაციის პროცესში განხორციელებულ ყველა ქმედებას კონფერენციამდე. მედიატორი ხელს მოაწერს დოკუმენტს და ჩადებს მას საქმეში. კონფერენციის დაწყებამდე მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ არასრულწლოვანმა პროკურორს გადასცა დანაშაულის ჩადენის აღიარების შესახებ წერილი, და რომ ხელშეკრულების განახლებული პირობების გაცნობის შემდეგ პროკურორი თანახმაა რომ კონფერენცია დაიწყოს. კონფერენციის დათქმულ დღემდე გონივრული ვადით ადრე, მედიატორი დაუკავშირდება კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს და შეახსენებს კონფერენციის თარიღს, დროს და ადგილს. კონფერენციისათვის მედიატორი ემზადება წინასწარ, კერძოდ, ამზადებს კონფერენციის ოთახს და განსაზღვრავს თითოეული მხარის ადგილს ისე, რომ არასრულწლოვანი და დაზარალებული (მათი წარმომადგენლები/მხადამჭერები) ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, მედიატორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. მედიატორი წარმართავს კონფერენციას. იგი გახსნის კონფერენციას და შეახსენებს დამსწრეებს მედიაციის არსსა და მიზანს, ასევე განუმარტავს მათ კონფერენციის მსვლელობის ეტაპებს, მის წესსა და შეხვედრის სავარაუდო შედეგს. ის ასევე წარადგენს კონფერენციის თითოეულ მონაწილეს. შემდგომ მედიატორი მიმართავს არასრულწლოვანს და თხოვს მას ისაუბროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებულ საკითხებზე. არასრულწლოვანის შემდეგ მედიატორი მიმართავს დაზარალებულს და სთხოვს

მას ისაუბროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემდეგ მედიატორი სიტყვას გადასცემს ჯერ დაზარალებულის, შემდეგ კი არასრულწლოვნის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) ან მხარდამჭერს, თუ ისინი ესწრებიან შეხვედრას. კონფერენციის ნებისმიერ ეტაპზე, მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მედიატორი მიიღებს გადაწყვეტილებას ხანმოკლე შესვენების გამოცხადების შესახებ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე გარემოებით, მათ შორის, მონაწილეების გადაღლით, სიტუაციის დაძაბვით და/ან სხვა გარემოებით. მედიატორი კონფერენციის მონაწილეებს დეტალურად გააცნობს ხელშეკრულების პირობებს. იგი წაიკითხავს თითოეულ პირობას და დარწმუნდება, რომ პირობა გასაგები და მისაღებია ყველა მონაწილისათვის, უპირველეს ყოვლისა კი არასრულწლოვნისათვის. მედიატორის ნებართვით, მონაწილეები აკეთებენ კომენტარებს, ახსნა-განმარტებებს და საჭიროებისამებრ განახორციელებენ ცვლილებებს ხელშეკრულებების პირობებში. გადაწყვეტია ის ფაქტორი, რომ ყველა მონაწილე მხარე დაეთანხმოს ხელშეკრულების ყველა პირობას, და რომ ეს პირობა ყველა მონაწილეს ერთნაირად ესმოდეს. მედიაციის პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მედიატორი გადის ოთახიდან და დაასრულებს სამოქალაქო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტზე მუშაობას. ხელშეკრულების ტექსტი ასახავს კონფერენციის შედეგებს. შემდეგ იგი ბრუნდება კონფერენციის ოთახში ხელშეკრულების პროექტის იმდენი ეგზემპლარით, რამდენი ძირითადი მონაწილეც ჰყავს კონფერენციას. მედიატორი დაარიგებს ხელშეკრულების პროექტს და მონაწილეებს მისცემს დროს, რომ გაეცნონ ხელშეკრულების ტექსტს. მედიაციის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, კონფერენცია დასრულებულად ითვლება. მედიატორი მხარეებს მაღლობას გადაუხდის თანამშრომლობისათვის. მისი როლი დასრულდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე. ამის შემდეგ პროკურორს ეძლევა საშუალება მისი გადაწყვეტილებისამებრ ხელი მოაწეროს დადგენილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის შესახებ.<sup>49</sup>

### **3.4. დაზარალებული განრიდებისა და მედიაციის პროცესში**

დაზარალებული არის - „სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.“<sup>50</sup> დაზარალებულის ჩართულობა განრიდებისა და მედიაციის პროცესში წარმოდგენს თვითონ პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, უპირველეს ყოვლისა სანამ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების

<sup>49</sup> საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება №94 განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე 2010 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

<sup>50</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 22.

შესაძლო გამოყენების შესახებ, იგი გადის კონსულტაციას დაზარალებულთან, რის შემდგომაც იღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. დაზარალებულის თანხმობა აუცილებელ ფაქტორს არ წარმოადგენს პროკურორისათვის და იგი მეტწილად გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პოლიტიკის, საპროცესო ნორმების და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე იღებს, თუმცა მის რწმენაზე და გადაწყვეტილება თავისთავად გავლენას ახდენს დაზარალებულის პოზიციას, ალბათ სწორედ აღნიშნულს ემსახურება საპროცესო ნორმა, რომელიც პროკურორს ავალდებულებს გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან. ასევე უკვე უშუალოდ მედიაციის პროცესში მხარეებს შორის ჯანსაღი კომუნიკაციის არსებობა გადაწყვეტია პროცესის წარმატებით დასრულებისათვის და საბოლოოდ არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი დევნისგან განრიდებისათვის, მედიაციის პროცესის საფუძველზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა დაზარალებული მხარის პროცესიდან გამოთიშვის შემთხვევაში. განრიდების და მედიაციის პროცესის ერთერთი მიზანიც სწორედ ის არის რომ, „დაზარალებულის ჩაერთოს სამართლიანობის აღდგენის პროცესში. სისხლის სამართალში დაზარალებული შეზღუდული უფლებებით სარგებლობს, განრიდება - მედიაციის პროგრამის დროს კი იგი აქტიურად ერთვება პროცესში და ეძლევა საშუალება მისი აზრი უფრო მეტად იქნას გათვალისწინებული.“<sup>51</sup> ჩართულობა იძლევა მეტი გახსნილობის საშუალებას, რაც დადებითა აისახება შედეგზე.

### **3.5. სოციალური მუშაკი**

„სოციალური მუშაკი არის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით.“<sup>52</sup> აღნიშნული მუშაკი როგორც მინისტრის ბრძანებით ირკვევა აუცილებლად უნდა იყოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც ექნება უმაღლესი განათლება სოციალურ მეცნიერებათა სფეროში და გავლილი უნდა ქონდეს სწავლების შესაბამისი პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს ჩაერთოს განრიდება/მედიაციის პროცესში და სრულყოფილად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მის მიერ განრიდებისა და მედიაციის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების სრული ნუსხა განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულები, პრობაციის და

<sup>51</sup> მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013 წ. გვ. 110

<sup>52</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №2 9 განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, 2011 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N2 9 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც , სოციალური მუშაკი განრიდების პროცესში ერთვება მას შემდეგ რაც პროკურორი დადგენილებით იღებს ბრძანებას არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესახებ. თუკი მუშაკი იცნობს არასრულწლოვანს ან მის ოჯახის წევრებს ან სხვა რაიმე ისეთი მიზეზი არსებობს რაც მას ხელს შეუშლის მოვალეობების სრულყოფილად შესრულებაში იგი უნდა ჩამოცილებულ იქნეს პროცესისგან. მას შემდეგ რაც შერჩეული იქნება სოციალური მუშაკი, იგი ხვდება ჯერ პროკურორს კონსულტაციისათვის, ხოლო შემდგომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს და მის ოჯახის წევრებს. თუკი არასრულწლოვანი და მისი ოჯახის წევრები თანხმობას აცხადებს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, ეს უკანსაკნელი ერთვება პროცესში და იწყებს არასრულწლოვნის შესწავლას რის საფუძველზეც პროკურორს წარუდგენს რეკომენდაციებს, იმის შესახებ თუ რა პირობებით უნდა დაიდოს ხელშეკრულება მხარეებს შორის, ის რომ გათვალისწინებული იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესები. რის შემდგომაც იდება ხელშეკრულება, თუმცა სოციალური მუშაკის როლი ამით არ იწურება, მას შემდეგ რაც დაიდება ხელშეკრულება, იგი ეხმარება არასრულწლოვანს დაგეგმოს განრიდების ღონისძიებების შესრულების დრო ადგილი და ზოგადად ასრულებს მისი მრჩევლის/დამხმარეს მოვალეობას, მასთან სისტემატიურმა შეხვედრებმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნის მიერ საკუთარ თავზე აღებული მოვალეობების პირნათლად შესრულება და მისი რესოზიალიზაცია/რეაბილიტაციაში უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი.

### **3.5.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში;**

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის წერილობითი ფორმით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი არასრულწლოვნის შესახებ, რომლის მიზანია „არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.“<sup>53</sup> მოცემული განმარტების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სისწორე და არასრულწლოვნის მდგომარეობის სწორი ანალიზი, სამომავლოდ განაპირობებს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას იუვენალური მართლმსაჯულების ფარგლებში, რადგანაც „ინდივიდუალური შეფასები ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაული/სამართალდარღვევის ჩადენის

<sup>53</sup> არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 14.

რისკი, შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.<sup>54</sup> მეტიც თუ რას გულისხმობს თავის თავში პერსონალურად კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი დამოკიდებულია სწორედ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე, რაც იძლევა საშუალებას განისაზღვროს თუ რა გზით უნდა წარიმართოს პროცესი და რა ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული არასრულწლოვნის მიმართ. „ინდივიდუალური შეფასები ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ხუთ სტადიაზე: განრიდების ღონისძიებების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ინდივიდუალური შეფასები ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას პენიტენციური დეპარტამენტი.“<sup>55</sup>

### **3.6. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება;**

„მედიაციის წარმატებით დასრულება აუცილებლად უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით. ეს შეთანხმება ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა.“<sup>56</sup> ხელშეკრულების გაფორმების წესი, პირობები, უფლებამოსილი პირი და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებით „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ, რომლის თანახმადაც განრიდების ხელშეკრულება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და განრიდების ღონისძიებებს. განრიდების ხელშეკრულების მხარეები არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და, შესაბამის შემთხვევაში, ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი; მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, პროკურორი გადის კონსულტაციას სოციალურ მუშაკთან

<sup>54</sup> თამარ მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017 წ. გვ 86.

<sup>55</sup> თამარ მახარობლიძე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017 წ. გვ 79.

<sup>56</sup> მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), ცერცვაძე გ. თბ., 2010, გვ 200.

და მასთან შეთანხმებით განსაზღვრას, ხელშეკრულების პირობებს და ხანგრძლივობას, რა დროსაც ასევე უპირატესად გასათვალისწინებელია არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ხელშეკრულებაში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი პირობები, რომლებიც აღემატება არასრულწლოვნის უნარებს ან/და მოიცავს სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც გარდა არასრულწლოვნისა. „ხელშეკრულების შემდეგ, არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი, რომელიც, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქმეს კვლავ პროკურორს უბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია, ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვნის მიმართ.“<sup>57</sup> თუმცა ხელშეკრულების შესრულება მუშა ცოცხალი პროცესი გახლავთ, შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც არასრულწლოვანი ობიექტური ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ ასრულებს ხელშეკრულების გარკვეულ პუნქტს, რასთან დაკავშირებითაც, სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს და ხელშემკვრელი მხარეების მონაწილეობით ხდება დარღვეული პუნქტის ჩანაცვლება. ხოლო თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. „ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა 1 წელი“<sup>58</sup>, რაც მიმაჩნია მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზად, რადგანაც თუ ვსაუბრობთ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე, თუ ვსაუბრობთ ინდივიდუალიზაციის პრინციპზე, მაშინ თუკი არასრულწლოვნის ინტერესშია კონკრეტული განრიდების ღონისძიების, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით 1 წელზე მეტი ხანით გამოყენება, მაშინ მივდივართ შემთხვევამდე როდესაც, ღონისძიების ერთ წელზე მეტი ხანით გამოყენების შესაძლებლობა წართმეული აქვს შესაბამის უფლებამოსილ პირს, რაც შესაძლებელია დარეგულირებულიყო განსხვავებულად და ხელშეკრულების ვადა არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე და საქმის სხვა მახასიათებლებზე დაყრდნობით შერჩეულიყო ინდივიდუალურად, შეზღუდული ვადების გარეშე.

3.7. საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს რეკომენდაციებთან შესაბამისობა

განსახილველ საკითხთან მიმართებით ევრო საბჭოს გაუცია არაერთი რეკომენდაცია და მიუღია არაერთი ნორმატიული აქტი, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია; ევროპის კონვენცია პირობით მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულების ზედამხედველობის შესახებ; ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის განაჩენთა საერთაშორისო ძალის შესახებ; რეკომენდაცია R (92) 16 ევროპული წესები საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების

<sup>57</sup> [http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=1061&lang=geo](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geo)

<sup>58</sup> პრობაციის სამართალი, გ.არსოშვილი, გ.მიქანაძე, მ.შალიკაშვილი, თბილისის 2015 წ. გვ 119

შესახებ; რეკომენდაცია R (97) 12 იმ თანამშრომელთა შესახებ რომლებიც მონაწილეობენ სასჯელთა და სხვა ღონისძიებათა აღსრულებაში; რეკომენდაცია R (99) 19 სისხლის სამართლის საკითხებზე მედიაციის შესახებ; რეკომენდაცია R (99) 22 ციხეთა გადატვირთულობისა და ციხის კონტიგენტის შემცირების შესახებ; რეკომენდაცია Rec (2000)22 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესები აღსრულების გაუმჯობესების თაობაზე; რეკომენდაცია Rec (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ; რეკომენდაცია Rec (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ გრძელვადიანი და უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა მართვის შესახებ; რეკომენდაცია Rec (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ; რეკომენდაცია Rec (2006)8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ; რეკომენდაცია Rec (2006)13 წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და მისი პირობების შესახებ, აგრეთვე, ცუდად მყოფობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ და რეკომენდაცია # R (99) 19 წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 15 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების #679 შეხვედრაზე). აღნიშნულ რეკომენდაციებში მოცემულია ის რჩევები წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხება საკვლევ თემას, იმას თუ როგორ უნდა განახორციელოს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პოლიტიკა წევრმა სახელმწიფოებმა (მათ შორის განრიდებისა და მედიაციის სფეროში) ისე რომ პროცესის მონაწილე მხარეებისა და სხვა პირების, როგორც არიან ბრალდებული/მსჯავრდებული, დაზარალებული ან/და სხვა პროცესის მონაწილე პირების ფუნდამენტალური და ძირეული უფლებები, ისეთი როგორც არის პატივის და ღირსების უფლება, სამართლიანი სასამართლოსა და ზოგადად სამართლიანობის უფლება და სხვა ფუნდამენტალური უფლებები იყოს დაცული. რაც შეეხება განრიდებისა და მედიაციის სფეროს, ზოგადად იუვენალური მართლმსაჯულება, როგორც აღზრდის და არა დასჯის სამართალი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არის ლიბერალური და მაქსიმალურად მორგებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და დაზარალებული მხარეების უფლებების დაცვაზე, არასრულწლოვნის რეაბილიტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ განრიდების პროგრამა ინოვაციას წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, იგი მეტ-ნაკლებად მაინც მორგებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რადგანაც სისტემა ახალია იგი საჭიროებს რიგი საკითხების დახვეწეს თუმცა პრინციპების დონეზე სრულად შეესაბამება პრობაციის, განრიდებისა და მედიაციის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებს, ხოლო ტექნიკურ საკითხებზე და გარკვეულ ხარვეზებზე, ზემოთ მოცემულ ნაშრომშიც გვქონდა მსჯელობა და ზოგადად ქართული სამართლის სივრცეშიც არაერთი ნაშრომი თუ სტატია ეძღვნება სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლებიც დგას იუვენალური



მართლმსაჯულების სფეროში, რაც წარმოადგენს დადებით მოვლენას, რომელიც მიმართულია სისტემის დახვეწისა და სრულყოფისაკენ.

## თავი IV. სტატისტიკური მონაცემები

განრიდების და მედიაციის პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. 2011 წლის ნოემბერში დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2012 წლის თებერვალში 9 ახალი ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი და ქობულეთი. 2013 წელს დაემატა 10 ქალაქი: ხაშური, ქარელი, მარნეული, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და მესტია. 2013 წელს პროგრამა გავრცელდება საქართველოს სრული მასშტაბით. სტატისტიკის თვალსაზრისით განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პროგრამის დაწყებიდან დღემდე განრიდებულია 3000 მეტი არასრულწლოვანი არასრულწლოვანი, რომელთაგანაც განმეორებით დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 134 არასრულწლოვანმა, რაც ცალსახად მეტყველებს პროგრამის ეფექტურობაზე და მის დიდ როლზე ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრებასა და ეფექტურ წარმართვაში. განრიდების პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა რაოდენობა თავდაპირველად მერყეობდა თუმცა უკანასკნელ წლებში შეიძინა სტაბილური ხასიათი, ყოველწლიურად პროგრესირებს და ატარებს მზარდ ხასიათს, მაგალითისათვის 2010 წელს როდესაც ამოქმედდა პროგრამა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებული იქნა მხოლოდ 2 არასრულწლოვანი, 2011 წელს - 81 არასრულწლოვანი, 2012 წელს - 120 არასრულწლოვანი, 2013 წელს - 331 არასრულწლოვანი, 2014 წელს - 204 არასრულწლოვანი, 2015 წელს - 296 არასრულწლოვანი, 2016 წელს - 462 არასრულწლოვანი, 2017 წელს - 475 არასრულწლოვანი, 2018 წელს - 497 არასრულწლოვანი. სტატისტიკა ცხადყოფს რომ მიუხედავად მცირედი მერყეობისა, უკანასკნელ წლებში განრიდების ინსტიტუტი მყარად დამკვიდრდა ქართული სისხლის სამართლის სისტემაში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, თუ 2010-2015 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი აჭარბებდა განრიდების მაჩვენებელს, 2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელმა მკვეთრად გადააჭარბა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. კერძოდ, 2016 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იყო 69%, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში 67%. უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად არ მომატებულა დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების რაოდენობა. 2018 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 897 პირი, აქედან 497 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 400 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). 366 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 290 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 3632 21 წელს მიუღწეველი პირი. სქესის მიხედვით

განრიდებულთან რაოდენობაში მკვეთრად ჭარბობენ მამაკაცები, რაც ლოგიკურად არის, რადგანაც ზოგადად დანაშაულის ჩამდენ პირებშიც იგივე სურათი გვაქვს. რაც შეეხება სიმძიმის მიხედვით განრიდების ღონისძიებები მეტად გამოიყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. მაგალითისთვის 2018 წლის მონაცემებით 298 ნაკლებად მძიმე დანაშაულის ფაქტზე განრიდდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანი, ხოლო 199 მძიმე დანაშაული ფაქტზე. განრიდების ხელშეკრულების ხანგძლივობის კუთხით უნდა ითქვას, რომ როგორც წესი არასდროს ხდება მაქსიმალური ვადის 1 წლის გამოყენება, მაგალითისათვის 2018 წლის განმავლობაში 10 თვის ვადით ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ 2 შემთხვევაში, მაშინ როდესაც ყველაზე მეტჯერ დაიდო 3 თვის ვადით 251 შემთხვევაში (იგულისხმება როგორც არასრულწლოვანი, ასევე 21 წელს მიულწეველი პირები). რაც შეეხება მედიაციის პროცესს, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს, როდესაც მედიაციის პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა მხოლოდ 18 % შემთხვევებში, ხოლო 2015 წლიდან საშუალოდ 40 % ნიშნულს არ ჩამოსცდენია ანალოგიური მაჩვენებელი, ხოლო რაოდენობრივი თვალსაზრისით ფიქსირდება მუდმივი ზრდა. ასევე საინტერესოა თუ რა სახის ღონისძიებები ევალუატირება არასრულწლოვნებს განრიდების ხელშეკრულების ფარგლებში, რაშიც ძირითადად დომინირებს განათლება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები, დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები, სპორტული და ხელოვნების აქტივობები, საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობები. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამამ თავისი სიტყვა თქვა, როგორც მსჯავრდებულებისა და პატიმრების შემცირების კუთხით, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სისხლის სამართლის პოლიტიკის ეტაპობრივად იბერალიზაციისა და დასჯის მექანიზმების აღზრდის მექანიზმებით ჩანაცვლების გზაზე. ასევე უდავოა, რომ მისი შემდგომი დახვეწისა და განვითარების შემთხვევაში გააჩნია დიდი პოტენციალი, რომ კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს ქართული სამართლის სისტემას.

## **თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში**

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოყალიბება და ცალკე სისტემების შექმნა ამერიკასა და ევროპაში იწყება. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში პირველად აშშ-ში ჩნდება არასრულწლოვან დამნაშავეთა სამეურვეო მეთვალყურეობაში გადაცემის იდეა. მოგვიანებით ილინოისი შტატში - 1899 წელს, იქმნება არასრულწლოვანთ სასამართლო. არასრულწლოვანთა მიმართ პირველი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები მიღებული იქნა ინგლისში

1908 წელს, ხოლო 1914 წელს ამერიკის გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება არასრულწლოვანთა სასამართლო საფრანგეთშიც. დღეს უკვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორ მოდელს გამოყოფენ, ესენია: ანგლო-საქსური იუვენალური იუსტიცია და ევროპული იუვენალური იუსტიცია. ქართლმსა სამართლებრივმა სისტემამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ევროპულ იუვენალურ ისტიტუციაზე დააფუძნა. ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კვლევის შედეგად ნათელი გახდა თუ რაოდენ ლიბერალურია მიდგომები კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, რაზეც არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების მაღალი და მათ მიმართ პატიმრობის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს.<sup>59</sup> ქართულმა მართლმსაჯულების სისტემამ გაიზიარე უცხოური გამოცდილებები და შედეგად მივიღეთ ის განრიდების და განრიდება-მედიაციის სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს სახეზე და მიუხედავად არსებული რიგი ხარვეზებისა, წარმატებით ფუნქციონირებს. „არიან სახელმწიფოები, რომლებიც არსებულ სამართალდაცავ სტრუქტურათა ფარგლებში ახდენენ არსრულწლოვანზე მორგებული გარემოს შექმნის უზრუნველყოფას და არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ინსტიტუციურად სრულიად სხვაგვარ სტრუქტურას ქმნიან და აყალიბებენ, მაგალითად არასრულწლოვანთა დამოუკიდებელ სასამართლოებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება საქმეთა გამოძიებაც და სასამართლო განხილვაც. ასეთია: გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ-ის ზოგიერთი შტატი.“<sup>60</sup> არასრულწლოვნების დამოუკიდებელი სასამართლოები საინტერესო მოვლენად მიმაჩნია, რომელსაც სამომავლოდ უნდა დაეთმოს ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, თუკი გაჩნდა მოთხოვნა, რომ პროცესში სადაც მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, პროცესის მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზირებული, ალბათ უფრო გონივრული იქნებოდა ამ ყველაფრის ერთიან სისტემაში მოქცევა და არასრულწლოვნებისათვის ცალკე სასამართლოს ჩამოყალიბება, სადაც რა თქმა უნდა ყველა მონაწილე იქნება აღნიშნულ სფეროში სპეციალიზირებული და საქმიანობის ძირითადიდ სფეროც ექნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. რიგი საკითხები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას გაზიარებული აქვს მოწინავე ქვეყნებიდა, ისეთი როგორც არის საფრანგეთი, მაგალითად „დისკრეციული უფლებამოსილება საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ; პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა. შ.“<sup>61</sup> რაც გაზიარებული აქვს ჩვენს სამართლებრივ სისტემასაც, თუმცა აღნიშნული რეგულირება არ მიმაჩნია სწორედ და საკითხი წარსულში განრიდების პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნის მიმართ კვლავ

<sup>59</sup> ჩხეიძე ია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები ქუთაისი. გვ 3. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Chkheidzela.pdf>

<sup>60</sup> იქვე გვ 7.

<sup>61</sup> გუცენკო. ფ.კ. გოლოვკო ლ.ვ. ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.539

განრიდების ღონისძიების გამოყენებაზე უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, სადაც შესაძლებელია ასევე სასამართლო კონტროლის მექანიზმის ჩართვაც. ასევე საინტერესოდ არის გადაწყვეტილი საფრანგეთის მაგალითზე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინფორმირებულობის საკითხიც, „საფრანგეთში ბავშვთა საქმეებზე მომუშავე პროკურორები და მოსამართლეები ბავშვს აწვდიან ინფორმაციას, მათ შორის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობისას პირველივე შეხვედრისთანავე. მოსამართლე კანონით უფლებამოსილია, ასევე, მოიწვიოს სხვა სპეციალიზებული პროფესიონალი ბავშვისთვის ინფორმაციის/ახსნა-განმარტების მიწოდების მიზნით. ასეთი ვალდებულება, აგრეთვე, ეკისრებათ ბავშვთა ადვოკატებს და სხვა პროფესიონალ საპროცესო წარმომადგენლებს.“<sup>62</sup> მეტწილად ქართული მართლმსაჯულების სისტემა იზიარებს ფრანგული ანალოგიური სისტემის პრინციპებს, რისი კიდევ ერთი მაგალითიც გახლავთ საფრანგეთში მედიაციის განვითარება, როგორც პროკურორის დისკრეციისა. „საფრანგეთში დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია განვითარდა, როგორც საპროკურორო დისკრეციის ელემენტი, რაც ტრადიციულად ნაკლებად აღიქმება ფრანგული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ელემენტად.“<sup>63</sup> ასევე საინტერესო მიდგომები არსებობს ევროპის ისეთ ქვეყნებში როგორცაა გერმანია, ბელიგია და ავსტრია. „გერმანიაში მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ეწოდება Täter - Opfer Ausgleich“ (TOA). TOA აღდგენითი მართლმსაჯულებისა და „დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის“ აღმნიშვნელი ნახევრად ოფიციალური გერმანული ტერმინია. თარგმანში „სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგებას“ ნიშნავს. 1990 წელს TOA შემოიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში როგორც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება და 45-ე და 47-ე მუხლით გათვალისწინებული საქმეების განრიდების შესაძლებლობა. ოთხი წლის შემდეგ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46ა მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად TOA სრულწლოვან პირებზეც გავრცელდა. 1999 წლიდან შესაბამისი დებულება არსებობს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. რაც შეეხება ბელგიას, აქ 1987 წელს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის. ბელგიის კანონი ახალგაზრდობის დაცვის შესახებ (2006 წელი) ადგენს, რომ მოკვლევის ეტაპზე პროკურორი ვალდებულია მედიაცია შესთავაზოს ყველა არასრულწლოვანს, ვინც დანაშაული ჩაიდინა, თუ დაზარალებული დადგენილია. 1996 წლიდან ბელგიის რამდენიმე ქალაქში მედიაციის პროექტები ხორციელდება პოლიციის დონეზეც. 2000 წელს ბელგიის იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის

<sup>62</sup> ნანა ჩაფიძე, თეა მაჩაიძე, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, თბილისი 2017 წ. 35 გვ.

<https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf>

<sup>63</sup> 5 Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009). P. 27.

გამოყენება ციხეებში. შესაბამისად ციხეებში მედიაციის გამოყენება მსჯავრდებულებსა და დაზარალებულებს შორის 2001 წელს დაიწყო. 2005 წელი ბელგიაში მედიაციის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო. ბელგიის პარლამენტმა მიიღო ახალი მუხლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მედიაციის თაობაზე, რითაც კანონმა გააფართოვა დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა. ავსტრიაში მედიაციას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის უწოდებენ “Aussergerichtlicher Tatausgleich” (ATA), რაც ითარგმნება როგორც “საქმის სასამართლოს გარეშე მოგვარება”. სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისთვის კომპენსაციის გაცემის იდეას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ავსტრიაში. უკვე 200 წელიწადია, რაც ორი ასპექტი, სამართალდამრღვევის მიერ პასუხისმგებლობის აღება და დაზარალებულის მიერ კომპენსაციის მიღება, წამყვან როლს თამაშობს ავსტრიის სისხლის სამართალში. ეგრეთ წოდებული “აქტიური სინანული” (Taetige Reue) ინსტიტუტი ავსტრიაში მოქმედებს 1787 წლიდან და დღემდე გამოიყენება იმ სამართალდარღვევებისთვის, რომელებიც კოდექსით არის განსაზღვრული. ავსტრიის კანონმდებლობა ეფუძნება წარმატებულ საპილოტე პროცესებს, რომელთაც აქვთ კარგი და პრაქტიკული საფუძველი რაც მათ საშუალებას აძლევს იმუშაოს კარგად პრაქტიკაში. “Neustart”-სა (მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაცია) და პასუხისმგებელ უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობა, ასევე შესაბამისი მხარდაჭერა მსხვერპლთათვის ავსტრიაში გახდა განრიდების, დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის უდიდესი წარმატების საფუძველი.<sup>64</sup>

## თავი VI. განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკული ასპექტები

მოცემულ თავში განხილული განსახილველ საკითხთან მიმართებით საინტერესო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ვფიქრობ კარგად ასახავს განრიდების და მედიაციის პროგრამის მნიშვნელობას არსს და პროკურორის დისკრეციის ფარგლებს პროცესის მიმდინარეობისას. კერძოდ, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის საჩივარი და საქმის მასალების მიხედვით 2017 წლის 04 თებერვალს, შუადღის საათებში, წ.-ს რაიონის სოფელ ი.-ში, ვალთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს, ე. ნ.-მ ფეხის და ჯოხის დარტყმით დააზიანა ნ. მ.-ს კუთვნილი ავტომანქანა „HYUNDAI GETZ“-ის (სახელმწიფო ნომრით XX XXX XX) წინა მარჯვენა ფრთა და ძრავის ხუფი, რითიც ნ. მ.-ს მიაყენა 270 (ორას სამოცდაათი) ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2017 წლის 04 თებერვალს. 2017 წლის 28 თებერვალს გამოტანილი იქნა დადგენილება ე. ნ.-ს ბრალდების შესახებ და იმავე დღეს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო 2017 წლის 01 მარტს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1000

<sup>64</sup> მარი ქუთათელაძე, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი 2017 წ. გვ 34.

ლარის ოდენობით. 2017 წლის 13 მარტს გამომიების ორგანოს მიმართა ბრალდებულმა ე. ნ.-მ და ითხოვა მის მიმართ განრიდების გამოყენება. 2017 წლის 24 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ე. ნ.-ს მიმართ განრიდების გამოყენების შესახებ, რაზეც იმავე დღეს შედგა განრიდების შეთავაზების ოქმი. ოქმის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ განრიდების სუბიექტი აღიარებს და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, ასევე იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, პროკურორის მიერ მიღებული იქნა განრიდების პირობების გამოყენების გადაწყვეტილება. განრიდების პირობების თანახმად, ე. ნ.-ს უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 26 მარტი. მასვე განემარტა, რომ თუ იგი არ შეასრულებდა განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს მის მიმართ განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო განრიდება განხორციელებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა განრიდების სუბიექტი შეასრულებდა შეთავაზებულ პირობას. აღნიშნულ პირობებს დაეთანხმა ე. ნ. და ხსენებული ოქმი დადასტურებული იქნა პროკურორის, ბრალდებულის და მისი ადვოკატის ხელმოწერით. სს „ს. ბ.“-ს 2017 წლის 24 მარტის სალაროს შემოსავლის ორდერით NXX/XXXXX დასტურდება, რომ ე. ნ.-მ შეასრულა განრიდების პირობა და 1000 (ათასი) ლარი გადაიხადა 2017 წლის 24 მარტს. 2017 წლის 28 მარტს კი პროკურორმა გამოიტანა დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ და დაადგინა, რომ არ შეწყდეს ე. ნ.-ს მიმართ არსებული სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ სახეზეა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი და ამიტომ ე. ნ.-ს მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო განრიდება. პროკურორმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობს ბრალდებულის პიროვნებით, ის, რომ მას ჩადენილი აქვს განზრახი დანაშაული, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით და ხსენებული დადგენილების საფუძველზე პროკურორის მიერ 2017 წლის 28 მარტს შედგენილი იქნა ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც საქმე წარმართა სასამართლოში.<sup>65</sup> მოცემულ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ გააკეთა მნიშვნელოვანი და განრიდებისა და მედიაციის სფეროსთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება, რომ „განრიდების სუბიექტის მიერ პირობის შესრულება, იმავდროულად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ეს პროცესი აღარ არის დამოკიდებული პროკურორის დისკრეციაზე. პროკურორის დისკრეცია განრიდების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება, რა დროსაც პროკურორმა უნდა შეამოწმოს სწორედ პიროვნების წარსული და ხასიათი და სხვა გარემოებები და მათი გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება თუ რამდენადაა მიზანშეწონილი განრიდების გამოყენება. ამ საკითხის გადაწყვეტაში

<sup>65</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის განჩინება №1გ/622-17. [http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR2fiokBrW\\_YpwXBTfGtDrdF\\_KWxL0LMLmHAmr87ubIDNEhSsKsluspHcbA](http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR2fiokBrW_YpwXBTfGtDrdF_KWxL0LMLmHAmr87ubIDNEhSsKsluspHcbA)

სასამართლო არ ერევა. ხოლო, მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება განრიდების გამოყენებაზე და შედგება შეთავაზების ოქმი, სადაც განისაზღვრება, როგორც განრიდების პირობები ასევე მოსალოდნელი შედეგები, პროკურორს განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მანამდე სანამ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა, ვინაიდან განრიდების პირობის შესრულებით განრიდება უკვე განხორციელებულია (რაც ასევე საქმეში წარმოდგენილ განრიდების შეთავაზების ოქმშიცაა დაფიქსირებული). მოცემულ შემთხვევაში კი განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა შესრულებულია, რის შემდეგაც პროკურორის მიერ უკვე განხორციელებულ განრიდებაზე უარის თქმას კანონი აღარ ითვალისწინებს.“<sup>66</sup> მოცემული განმარტება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ განსაზღვრას პროკურორის დისკრეციის ფარგლებს განრიდებასთან მიმართებით და სამართლიანად აღნიშნავს, რომ დისკრეცია გამოიხატე განრიდების გამოყენების გადაწყვეტაში, ხოლო მას შემდეგ რაც გადაწყვეტილება მიღებულია, განრიდების მიმდინარეობა პროკურორის დისკრეციის ფარგლებს ცდება და დამოკიდებული იმაზე რამდენად შესრულდება განრიდების პირობები, თავის მხრივ განრიდების პირობების შესრულება ავტომატურად ნიშნავს რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს და ამ გადაწყვეტილებაზე პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება არ ვრცელდება, იგი ვალდებულია მიიღოს ერთდერთი კანონიერი გადაწყვეტილება და პირი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. პრაქტიკული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის განრიდებისა და მედიაციის პროცესში გამოვლენილი რიგი საკითხები, რომელიც ჩრდილს აყენებს პროცესის მიმდინარეობას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით დადგენილ ახალ უფრო მაღალი დონის სტანდარტებს აღნიშნული სფეროში, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანის გამოკითხვა და მასთან ურთიერთობა ხდება სოციალური მუშაკის თანდასწრებით. ხშირად ხდება არასრულწლოვანისაგან ინფორმაციის ამოღება ადვოკატის გარეშე, რაც შემდგომში ართულებს მის მიმართ განრიდების ღონისძიებების გამოყენებას და არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებას. „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლები) უმრავლესობის განმარტებით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან შეხვედრამდე, როგორც წესი, არასრულწლოვანები უკვე გამოკითხულები არიან. მათი განმარტებით, მათ მხოლოდ ფორმალურად ეძახიან, რომ გამოკითხული არასრულწლოვანის ოქმს ხელი მოაწერინონ. მათ ასევე განაცხადეს, რომ როდესაც გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ჩარევას ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ ცდილობენ, პოლიციის მუშაკები ამას საკმაოდ გაღიზიანებული ხვდებიან და ხშირად „ინტრიგნებად“

<sup>66</sup> იქვე [http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR2fiokBrW\\_YpwXBTfGtDrdF\\_KWxL0LMLmHAmr87ubIDNEhSsKsluspHcbA](http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR2fiokBrW_YpwXBTfGtDrdF_KWxL0LMLmHAmr87ubIDNEhSsKsluspHcbA)

მიაჩნიათ. რესპოდენტების ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ ხშირად გამოკითხვა/დაკითხვის პროცესი მიმდინარეობდა არასამუშაო საათებში. ერთ-ერთმა რესპოდენტმა ისიც კი მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი იყო სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, მათი ჩართვა პროცესში არ მომხდარა, ასეთი შემთხვევა სამჯერ ჰქონდა. მხოლოდ ორმა რესპოდენტმა დაადასტურა, რომ გამოკითხვა/დაკითხვის პროცესი სამართლებრივად სწორად მიმდინარეობდა. პროკურორების განმარტებით, გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში მათ ხარვეზები არ დაუფიქსირებიათ.<sup>67</sup> ასეთი ტიპით ჩატარებული გამოკითხვებისას და პროცესში არსებული სხვა რიგი დარღვევების შედეგად, განრიდების პროგრამის არასრულწლოვნის ჩართვა ხშირად შეუძლებელი ხდება და ჩრდილს აყენებს მის საუკეთესო ინტერესს. აღნიშნულია ის საკითხები, რომლებიც ხშირად მიმდინარეობს დარღვევით, თუმცა ხელოვნურად იფარება სამართალდამცავების მხრიდან. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პრაქტიკული კუთხით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს და დაინერგოს კონტროლის უფრო ეფექტური სისტემა პროცესის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით წარმოებისათვის, რათა მაქსიმალურად მეტი არასრულწლოვანი იქნეს განრიდებული და მეტად იქნეს სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ასევე უდიდესი პრობლემაა განრიდების ღონისძიებებისათვის არასაკმარისი ღონისძიებების არსებობა. „სერვისების სიმცირეზე, ასევე უფრო მრავალფეროვანი სერვისების საჭიროებაზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე, საუბრობენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებიც: „არსებობს სერვისების დეფიციტი, ძირითადად ხელმისაწვდომი არ არის შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტული სერვისები“. სოციალური მუშაკების ნაწილი აღნიშნავს, რომ მთავარ რესურსს თვითონ ქმნიან: „ძალიან მტკივნეული საკითხია. სამწუხაროდ მხოლოდ მე ვუტარებ სარეაბილიტაციო მოდულებს, მაგრამ გარე სერვისები ძალიან მწირია.“ თუმცა განსხვავებულია რამდენიმე სოციალური მუშაკის პოზიცია. ისინი აცხადებენ, რომ სერვისები ფარავს არასრულწლოვანთა საჭიროებებს: „რომ ვთქვათ, რომ რაღაცის რისკი გამოიკვეთა და ამის შესაბამისი მოდული არ გვაქვს, ასეთი ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში არ გვექონია, ძირითადად რაც იკვეთება, ძირითად მიმართულებებზე საკმარისია“; „პრობლემური ქცევა რაც შეიძლება გამოიკვეთოს, შესაბამისი სარეაბილიტაციო სერვისები გვაქვს, რამდენადაც იქნება ეს საკმარისი“; „თუმცა თუ არის საჭირო არტ-თერაპია ან მსგავსი საჭიროება ....., ამის შესაძლებლობა ჩვენ არ გვაქვს და ამ დროს არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს შემოთავაზება და იქ ვაგზავნით, სადაც ერთვება.“<sup>68</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიმაჩნია სახელმწიფო ინსტიტუტებმა იმუშაონ იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას მეტი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ განრიდება-მედიაციის პროგრამაში

<sup>67</sup> ანტონი ქელბაქიანი, ნატალია ცაგარელი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში. თბილისი 2018 წ. გვ 34.

<sup>68</sup> ანტონი ქელბაქიანი, ნატალია ცაგარელი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში. თბილისი 2018 წ. გვ 40



მონაწილე არასრულწლოვნების მიმართ პროგრამის მიზნების სრულყოფილ მიღწევას.

## დასკვნა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით ვეცადე, ხაზი გამესვა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მნიშვნელობაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, იმ უპირატესობებზე და ნაკლოვანებებზე, რაც ახასიათებს იუვენალურ მართლმსაჯულებას კლასიკური ე.წ. „დასჯის“ სამართლისაგან განსხვავებით. იმ პრაქტიკულმა საკითხებმა, რომელიც უკვე დაინერგა ქართულ რეალობაში, საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებს და შეიძლება ითქვას უკვე გარდაქმნა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პოლიტიკა ლიბერალური მიდგომების დამკვიდრებით. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ძირითადად ყურადღება გამახვილებული იქნა პროცესუალური კუთხით განრიდებისა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობაზე, თუ რა სირთულეები წარმოიქმნება და რა რისკებთან არის დაკავშირებული პროგრამა დანაშაულის რეციდივისა თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინების კუთხით. ვრცლად იქნა განხილული პროკურორის დისკრეციის ფარგლები, განრიდების და მედიაციის პროცესის მიმდინარეობა, მედიატორის, სოციალური მუშაკის და პროცესის სხვა მონაწილე პირების ფუნქცია მოვალეობები. განრიდების და მედიაციის პრინციპები და ის თუ რა გამოწვევების წინაშე დგას პროგრამა საქართველოში. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვეცადე გადმომეცა პროგრამის ეფექტურობა რეალურ დროში, რეალური ადამიანების მიმართ. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი დევნიდან განრიდებით, მას ეძლევა შანსი მოახდინოს სრული რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ისე რომ გათვალისწინებული იქნეს დაზარალებულის ინტერესებიც, რაც პროგრამის უდიდეს მიღწევად და პლიუსად მიმაჩნია, უპირველესად რის გამოც იმსახურებს იუვენალური მართლმსაჯულება კიდევ უფრო განვითარდეს და დაიმკვიდროს ადგილი ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. ნაშრომთან მიმართებით ასევე უნდა ითქვას, რომ ვეცადე გამომეკვთა ის პრაქტიკული ასპექტები და სირთულეები რაც თან ახლავს ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის ჩვენ სისტემაში დამკვიდრებას. დასკვნის სახით უნდა გამოიყოს, ისეთი პრობლემები როგორც არის არასაკმარისი პროფესიონალი ადამიანების ნაკლებობა, რიგი პროცესუალური დაბრკოლებები, მაგალითად როგორც არის ადრე განრიდების პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვნის ხელმეორედ განრიდების აკრძალვა, ასევე სხვა უთანაბრობები, რომლებიც არსებობს სრულწლოვან და არასრულწლოვან კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებში, განრიდების და განრიდება და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პირების მიმართ გამოსაყენებელი პროგრამების სიმცირე და ნაშრომში განხილული სხვა პრობლემური საკითხები. უდავოა რომ განრიდების ინსტიტუტმა ქართულ

რეალობაში გაამართლა და მუშაობს ეფექტურად, თუმცა მისი ეფექტურობის გაზრდისათვის, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს პროგრამაში მონაწილე პირების კიდევ უფრო ღრმა და ძირეული გადამზადება, ასევე კარგი იქნება თუ ეტაპობრივად დაინერგება არასარულწლოვნებზე სპეციალიზირებული სასამართლოს ინსტიტუტი, ასევე მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დაინერგოს ახალი ღონისძიებები და პროგრამები. ასევე უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ხელოვნური ბარიერებისა და შეზღუდვების მოხსნა და განსაკუთრებით არასარულწლოვნების შემთხვევაში მაქსიმალურად მეტი პირის მიმართ განრიდების პროგრამის გამოყენება, ისე რომ ინსტიტუტმა განარიდოს კიდევ უფრო მეტი არასარულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და მიცეს მათ შანსი დაშვებული შეცდომების არასისხლისსამართლებრივი გზებით გამოსწორებისა.

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი(2009 წ.);
2. საქართველოს არასარულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი(2015 წ.);
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასარულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ (დანართი 1, დანართი 2);
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216–ე ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“;
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №94 ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანება „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/ №23 ბრძანება „განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი“;

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლისსამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინისწესები“) (1985 წ.);
10. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წ.);
11. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ(2007);
12. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ;
13. ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაცია № R (99) 19 ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებში;

### **სამეცნიერო ლიტერატურა:**

1. არსოშვილი გ. მიქანაძე გ. შალიკაშვილი მ. - პრობაციის სამართალი; თბ. 2015 წ.;
2. აქუბარდია ი. - განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული; თბ. 2016 წ.;
3. გულცენკო კ. გოლოვკო ლ. ფილიმონოვი ბ. - დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007 წ.
4. ზეჰრი ჰ. - აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი;
5. კოდუა ე. (რედ.) - სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004 წ.;
6. ლეკვეიშვილი მ. შალიკაშვილი მ. - არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები: სტატიათა კრებული, თბ. 2011 წ.
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები; გამ. მერიდიანი; თბ. 2015 წ.;
8. შალიკაშვილი მ. - არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები; თბ. 2013 წ.;
9. შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო); თბ. ფრ. სტრ. 2016 წ.;
10. შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები; თბ., 2011 წ.;
11. ცერცვაძე გ. - მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2013 წ.;
12. ჰამილტონი ქ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011წ;
13. მარი ქუთათელაძე, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი 2017 წ.
14. Bonafe-Schmidt, Global Trends in mediation and accreditation-the case of France (2009).

15. კოდუა, ე. ბურძენიძე, მ., კაჭკაჭიშვილი, ი. (ავტორთა კოლექტივი) (2004), სოციალურ და პოლიტიკურ ტენდენციათა ლექსიკონი - ცნობარი. თბილისი 2004 წ.
16. Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, Juvenile Court Act., 2008. S.

### სტატიები:

1. ბოხაშვილი ი. ბენიძე მ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი №2, 2009;
2. კავთუაშვილი ე. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, სამართალი და მსოფლიო: №4, 05/2016;
3. ჩხეიძე ი. - აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №5(48)15;
4. კავთუაშვილი ე. - არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია, მართლმსაჯულება და კანონი №3'13;
5. ჯავახიშვილი ლ. - არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა, წელიწადეული, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, უნივერსიტეტის გამოცემა;
6. ქუთათელაძე მ. - განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1'16;
7. ანტონი ქელბაქიანი, ნატალია ცაგარელი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში.
8. ნანა ჩაფიძე, თეა მაჩაიძე, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, თბილისი 2017 წ.

### სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის განჩინება №1გ/622-17

### ინტერნეტ მასალები:

1. <http://prevention.gov.ge/page/28/geo;>
2. <http://ganrideba.ge/?action=page&pid=46&lang=geo;>
3. იხ. განრიდების პროგრამის (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2014, 2015, 2016 წლის ანგარიშები;  
[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf;](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf)  
[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf;](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)  
[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2016.pdf;](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2016.pdf)
4. [http://pog.gov.ge/geo/projects/current?info\\_id=86;](http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86;)
5. მეფარიშვილი გ. ჩხეიძე ი. - დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული; <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.5;>

6. Criminal Procedure: Comparative Aspects – Prosecution  
<http://law.jrank.org/pages/900/CriminalProcedure-Comparative-Aspects-Prosecution.htm>;
7. ჩხეიძე ია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები ქუთაისი. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/ChkheidzeIa.pdf>